


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 8 თებერვალი, 18 1896 წ. № 8

**შინაარსი:** ჟურ. „ჯეჯილის“ განცხადება.—იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, ი—ასი.—სხვა-და-სხვა ამბები.—საყურადღებო ამბავი.—ტყის მცველთა ბოროტ მოქმედებანი, გ. ახალციხელისა.—გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების გამო, ლექსი დ. ტყეშელისა.—კვირიდან კვირამდე, გ. ოლიძესი.—ზოგი მცენარის უგავილი სიმწიფის დროს სქდება და ხმას გამოსცემს ხოლმე.—გაბრიელ ეპისკოპოს-ს ანდერძი (დასასრული).—ხალხური ლექსი ჩაწერილი, ი. ლუდუშაურისა.—მეტი ღონე არ არის (ეტიუდი), ანასტ. ერ. სთვისა.—გურიის ამხანაგობის „შუამავალის“ გამო.—წერილი რედაქციის მიმართ, ი. ხონელისა.—გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა, (თარგმანი გაზ. კავკაზიდან).—სოფელ-მოქმედო საქმე და განცხადება.—

გამოვიდა თებერვლის ნომერი „ჯეჯილისა“ შემდეგი შინაარსით:

მელიას ხრიკი, ლექსი—ი. ეწერლისა; მაროს თავ გადასავალი—გ. ბ—ძესი; დედა და შვილი, ლექსი—დუტუ მეგრელისა; ყვავილები, მოთხრობა—იასონ ნიკოლაიშვილისა; თოლია (ფრანგულიდან) - ან. წ—ისა; როგორ ჰქრის ქარი? (რუბაკინიდან)—თ. მთავრიშვილისა; გაბრიელ ეპისკოპოსი, ნეკროლოგი—გ. წყალტუბელისა; საკვირველებანი ბუნებისა—გლ. აღნიაშვილისა; ლორი და კრუხი - ალ. მ—შვილისა; თაგვების ჭკუა—ბესარიონისა; ორი და (ფრანგულიდან); წვრილმანი.

## †. იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი.

Плачь, русская земля, но и гордись!..
Съ тѣхъ поръ какъ ты стоишь подъ небесами,
Такого сына не рожала ты
И въ нѣдра свои не брала обратно:
Сокровища душевной красоты
Совмѣщены въ немъ были благодатно.

**Н. Некрасовъ.**

ყწ განსვენებული გაბრიელი იყო უმცროსი შვილი გურიის ერთი ღარიბი მღ. მოსე ქიქოძისა. დაიბადა გაბრიელი ოზურგეთის მაზრაში, სოფ. ბახვში 1825 წ. დედა ადრე მოუკვდა, ასე რომ მას არც კი მოსწრებია. მკვირცხალი და ფხიზელი გონების ყმაწვილი, მუდამ მოძრავი და მომქმედი, ცელქი და ჭკუა-მახვილი მამის გავლენის ქვეშ იზრდებოდა. მამა მისი კი იყო მტკიცე, სასტიკი, შეუპოვარი და დამოუკიდებელი ხასიათის კაცი. ამიტომ შვილებს, თუმცა ისინი ღრმათ უყვარდა, მაინც მკაცრათ ეპყრობოდა და სასტიკათ ზრდიდა. თვით განსვენებულ გაბრიელს აქვს მოთხრობილი: ერთხელ, თავისი მოუსვენარი შვილი რომ დაეეწყნარებიე, მამამ ბრძანა დავეჭირეთ და სვეტზე თოკით მივეკარითო. ბრძანება შეასრულეს. მე ყოველ ღონეს ვხმარობდი, რომ თავი გამეთავისუფლებია, მაგრამ ცდამ ამაოთ ჩამიარა და მივყუჩდი. მამას კი-

დეც გადავავიწყდით. მერმე კი რომ დამინახა, შეწუხებულვიყავ, დაიყვირა: „მიშველეთ, ბავში კვდება!" მალე გაათავისუფლეს პატარა გერასიმე. „მახსოვს, ამბობს ყოვლად სამღვდელო, რომ ამ ფიქრმა გამიელვა მაშინ თავში: „თუ კი ასე ვუყვარვარ მამაჩემს, რატომ ა'ე სასტიკათ მსჯისთქო". *) ბავშობისას პატარა გერასიმე თავის ტოლ-ამხანაგებში ატარებდა დროს, ცელქობდა, თამაშობდა და ყოველთვის მოქმედებასა და მოძრაობაში იყო. მღ. მოსე ქიქოძე გურიელის მოძღვარიც იყო. ამიტომ ოზურგეთში ხშირათ დადიოდა. ერთხელ მან თან წაიყვანა პატარა გერასიმე. წირვის აღსრულების დროს მღვდელს დახმარებას უწევდა ერთი ფელდფებელი და სლავიანურ ენაზე სამოციქულოს კითხულობდა. აი, ეს ფელდფებელი დაუწყებს პატარა გერასიმეს სლავიანურსა და რუსულ ენაზე წერა-კითხვისა და რუსული ლაპარაკის სწავლებას. შემდეგ მამა გერასიმესი თბილისს მოდის და ეხვეწება ექსარხოსს ევგენის, რომ მისი შვილები სემინარიაში მიეღოთ. თხოვნა შესრულებულ იქნა, და პატარა გერასიმე სემინარიაში შედის. აქედან მას ერთ-ერთი მასწავლებელთაგანი პეტერბურგს წაიყვანს და იქაურ სემინარიაში მისცემს. აქ რომ კურსი დაასრულა, შემდეგ სასულიერო აკადემიაში გადავიდა, სადაც საუცხოვოთ დაამთავრა კურსი 1849 წ. და მაგისტრობის ხარისხი მიიღო. ამავე წელს იგი დანიშნულ იქნა თბილისის სემინარიაში ინსპექტორათ და რეკტორის თანაშემწეთ. 1854 წელს ინსპექტორობას თავს ანებებს და ამავე სემინარიაში ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებელი გახდება. ამავე წელს მღვდლათ ეკურთხება. ხოლო 1856 წელს მღ. გერასიმე ქიქოძეს დიდი უბედურება დაატყდა თავზე—მას ცოლ-შვილი მოუკვდა. ამ გარემოებას შემდეგ ამავე წელს ბერათ აღიკვეცა. 1858 წელს კი არქიმანდრიტათ ეკურთხა და დავით გარესჯის უდაბნოს წინამძღვრათ დაინიშნა. ტოტა ხანს შემდეგ გორის ეპისკოპოსობა ჩააბარეს. 8 ენკენისთვეს 1860 წ. კი იმერეთის ეპისკოპოსი შეიქნა და მას აქეთ განუშორებლივ ამ ეპარქიას განაგებდა.

მრავალ გვარია მოღვაწეობა ეპისკოპოსის გაბრიელისა, დაუფასებელია მნიშვნელობა მისი მოქმედებისა. სასულიერო აკადემიაში კურსის დამთავრების შემდეგ, იგი საუკეთესო პედაგოგია, რომელსაც ბადალი არავინა ჰყავს; ნამდვილი მზრუნველი და გულშემატკივარი მამაა ყველა შეგირდებისათვის. ამ ასპარეზზე იგი იჩენს თავს მით, რომ საფიზიკო კაბინეტს აარსებს და ისეთი ნიჭითა და გატაცებით ასწავლის ამ საგანს, რომ სხვა სასწავლებლებიდანაც კი მოდიან მასთან ამ საგნის შესასწავლათ. დღესაც ერთი ჩვენი გამოჩენილი ქიმიკოსი დიდი სიამოვნებით იგონებს იმ დროს, როცა მას ფიზიკას განსვენებული გაბრიელი ასწავლიდა. ამავე დროს მთელი რუსეთის განათლებული საზოგადოების ყურადღებას ყოვლად სამღვდელო გაბრიელი მიიპყრობს მით, რომ გამოცემს სამეცნიერო და საფილოსოფოსო თხზულებას: „Основанія опытной психологіи". აქ, ამ თხზულებაში იგი საგანს განყენებულათ კი არ იკვლევს და იძიებს, როგორც მოიქცეოდა ხოლმე მეტაფიზიკოსი, ეს „ცუდი პოეტი". არა. მისი გონება განათლებულია ნამდვილი სამეცნიერო მეთოდითა და ცოდნით. ამიტომ თვით საგნის განმარტებაც მარტივი და გასაგებია, ყოველ სიბუნდეს, რაიც ასეთ კვლევას ჩვევია, მოკლებულია. კვლევის სამეცნიერო მეთოდი და საფიზიკო-ფიზიოლოგო საფუძველზე დამყარებული დასკვნა—აი, ნიშნობლივი თვისება ამ თხზულებისა. თვით გერმანიაში, ამ მართლა ფილოსოფოსთა სამშობლო მხარეში, დიდი ყურადღება და პატივი დაიმსახ-რა ამ თხზულებამ. ეს გარემოება კი ცოტა რასმე კი არ ამბობს.

მაგრამ „ჩვენი გაბრიელი" უკვდავი მარტო ამითი კი არ არის. მისი მოქმედება და მოღვაწეობა მთელი ემერეთის საკეთილდღეოთ მიქცეული, მისი ღრმა შინაარსიანი და შეუდარებელი კილოთი წარმოთქმული ქადაგებანი არიან მიზეზნი, რომ იგი უკვდავეთა შორის ჩარიცხულ იქნა და ჩვენი გულის სიღრმეში სამარადისოთ, წაუშლელათ ჩაჭდეული.

მთელი 35 წლის დაუღალავი და გულწრფელი მოღვაწეობა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა იმაზე იყო მიმართული, რომ სამღვდელოება, წინეთ უმეცარი, ზნეობით და გონებით დაქვეითებული და დამცირებული, ყოველგვარ სათნოებას და პატივისცემას მოკლებული, შესაფერ სიმაღლეზე დაეყენებია. ყოვლად სამღვდელოს მუდმივი ფიქრი იყო, სამღვდელოება დამოუკიდებელი, ნივთიერი მხრით უზრუნველი და სწავლა-განათლებით აღჭურვილი ყოფილიყო. ამის მისაღწევათ იგი თავის შეძლებასა და მეცადინეობას არ ზოგავდა. ამიტომ იგი სამღვდელოებას აარსებიებს სასულიერო სასწავლებელს; ამიტომ იგი ცდილობდა თავგამოდებით, სამღვდელოებას ჯამაგირი გაჩენოდა, რაიც კიდეც შეასრულა. ამავე მიზნით იგი ცდილობს, რომ ქუთაისში სემინარია გახსნილიყო და უმეტესი რიცხვი საშუალო განათლების მექონეთა მის სამწყსოს მოდებოდა. მაგრამ აქ მისმა მეცადინეობამ და გავლენამ იმდენი ვერ იმოქმედა, რადგან პასუხი მოკლეთ მოუჭრეს. ხოლო ამის მაგიერ ყოვლად სამღვდელოს

*) იხ. „მოამბე" № VIII. 1895 წ.

მეოხებით ქუთაისში გაიხსნა სასულიერო წოდების ქალთა სასწავლებელი. შემდეგ კი მოულოდნელმა გარემოებამ ქუთაისში სემინარია ძალა-უნებურათ გახსნა. ამ გარემოებას ყოვლად სამღვდელო იმავე აღტაცებით მიეგება და იმავე თავგამოდებით იწყო მასზე ზრუნვა და ფიქრი. სამღვდელოებას რომ თავის სამწყსოზე კარგი გავლენა ჰქონოდა, ამიტომ ყოვლად სამღვდელო მღვდლებათ აკურთხებდა ხოლმე სემინარიელებს და აკადემიაში კურს დასრულებულთ. თავის სამღვდელ-მთავრო მოქმედობის ფარგალში შეცილებას იგი ვერ ითმენდა და მტკიცეთ და სასტიკათ მოუჭრიდა ხოლმე პასუხს. კარგათ ვიცით, რომ ერთმა გავლენიანმა და დიდი უფლების მქონმა პირმა შენიშვნა მისცა იმის შესახებ, რომ საკათედრო ტაძარში უფრო ხშირათ სრულდებოდეს რუსულათ წირვა-ლოცვაო. ამაზე ყოვლად სამღვდელომ მოკლეთ ასე მოუჭრა: თქვენ შეგიძლიათ თქვენს სფეროში იმოქმედოთ, როგორც გნებავთ, ხოლო რაც შემეხება მე, თვითონ ვიცი ჩემი მოვალეობა როგორათაც უნდა შევასრულოვო. მეტი არც სიტყვა და არც პასუხი. მიიბრუნა გვერდი და გასწია ეტლისაკენ.

მაგრამ გარდა ამისა მისი სამოღვაწეო ასპარეზი უფრო ვრცელი იყო. ხალხი, როგორც ყველგან, უმეცრებისა და ცრუმორწმუნეობის ბურუსში იყო გახვეული. ამიტომ ყოვლად სამღვდელო გაბრიელი დაუზარებლათ მოგზაურობდა მთელ ეპარქიაში. არ დარჩენია არც ერთი მივარდნილი და მიუვალი სოფელი, სადაც თვით ყოვლად სამღვდელო არ ყოფილიყოს და აქ დარიგება არ ეთქვას, ქრისტიანობის სწავლა-მოძღვრება არ განემარტებიოს. ყველამ იცის, რომ დღემდე ზოგან ცრუ-მორწმუნეობა ისე გავრცელებული და გამტკიცებულია, რომ ხალხი სხვა-და-სხვა ხეს, ეკლესიის გალავანში ან მივარდნილ ადგილას მდგომს, თაყვანსა სცემს, ღვთაებრივ ღირსებას აწერს და ამისთანა ხის მოჭრას ვერვინ ბედავს. აი, ასეთი ცრუ-მორწმუნეობის აღმოსაკვეთათ ყოვლად სამღვდელო, გარდა დარიგებისა და ქადაგებისა, სხვა ღონესა და ხერხსაც ხმარობს. სანდო და სარწმუნო პირთაგან გაგვიგონია, რომ ერთხელ, სამეგრელოში ყოფნის დროს, თვით ყოვლად სამღვდელო იღებს ხელში ნაჯახს და ჭრის იმ მუხას, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთ ღვთაებათ გამოესახათ და რომლის შეხებას ვერვინ ბედავდა. ამ მტკიცე საქციელს ხალხი სულ-განაბული შეყურებდა და მოელოდა, რომ ღმერთი მუხისა ელვა-მეხით გააპობდა კადნიერ მღვდელ მთავარს. მაგრამ ლოდინმა ამაოთ ჩაუარათ. ამ სანახაობამ კი ღრმა და დიდი გავლენა იქონია იქ დამსწრეებზე.

ხალხში რომ ცრუ-მორწმუნეობა და უმეცრება აღმოეკვეთა, ამისათვის ყოვლად სამღვდელო ამართვინებს სოფლებსა და დაბებში სამრევლო შკოლებს, რომელთაც თვითონ ათვალ-ყურებს, იქ ყმაწვილებს გამოცდაზე ესწრება და ყველას აქეზებს და აბეჯითებს ამ საქმის სარგებლობაზე. მაგრამ აქ, ამ საქმეში მას ძლიერი მტერი აღმოუჩნდა და, ვინ იცის, რა არ დაწამა სათნო მღვდელ-მთავარს. მაგრამ ამ კამათობაში ყოვლად სამღვდელო გამარჯვებული გამოვიდა და თავისი საყვარელი საქმე ხელში შეირჩინა.

მაგრამ ყველა ამ მოქმედებათ და მოღვაწეობას აღემატება მისი მნიშვნელობა როგორც მქადაგებლისა საეკლესიო კათედრიდან. დაუვიწყარია მისი სახელი, როგორც უალრესი ნიჭითა და მჭერმეტყველებით წარმომთქმელი სიტყვისა ამა თუ იმა ცხოვრების ნაკლულევანებასა და ჭირ-ვარამზე. მისი სიტყვა, მისი ქადაგება ყოველთვის საპუბლიცისტო კილოზეა აგებული. სიტყვა მისი ყოველთვის მოკლე, სადა და უბრალოა, მაგრამ მკაცრი, გულის სიღრმემდე მიმწდომი და მქუხარებით ბოროტების მდევნელი. რამდენათაც ძლიერი და ღრმაა გავლენა და მოქმედება ქადაგებისა კითხვის დროს, უფრო ძლიერი და ორკეცი იყო ეს გავლენა, როცა იგი წარმოთქმული იყო მშვიდი, აუჩქარებელი ხმით გაბრიელ ეპისკოპოსისა. მსმენელი ვერ აღწევდა თავს იმ შთაბეჭდილებისაგან, რასაც იგი გრძნობდა, და ემონებოდა მას, ემორჩილებოდა, თუმც ყოველთვის კი გრძნობდა აღშფოთებას

თვით ანდერძიც კი, დატოვებული ყოვლად სამღვდელო გაბრიელისაგან, გვიჩვენებს, თუ რაოდენათ ღრმათ უყვარდა მას თავისი სამწყსო, რაოდენათ რწამდა დიდი ზეგავლენა განათლებისა და სხივ მომფინარე სწავლისა. გასაკვირველია, რომ ეპისკოპოსი, ბერი, განდეგილი თითქმის მთელ თავის შესძლებას სასწავლებლებს უტოვებს, მხოლოთ სასწავლებლებს. დიახ, ასე ძლიერი იყო მისი უმეცრებისადმი სიძულვილი! ასე ძლიერი იყო სიყვარული სწავლისა და განათლებისადმი! მან მთელი თავის სიცოცხლითა, მოღვაწეობით და ბოლოს ანდერძით გადაჭრით დაამტკიცა, რომ ზნეობრივი მხარე და სათნოება მაღლა ვერ აიწევს, თუ მას წინ არ მიუძღვის გონება სალი, განვითარებული.

აი, ასეთი ქველ-მოქმედი, ბოროტებისა და უმეცრების ასეთი მძლავრი მტერი და მდევნელი, ასეთი მჭერმეტყველი მქადაგებელი და ბრწყინვალე მომავალის ღრმა მეიმედე ხელიდან გამოგვაცალა სიკვდილმა, აღარა გვყავს იგი დღეს! 26 იანვარს დეპეშამ ელვასავით დაუარა მთელ საქართველოს, მიწვდა თვით მივარდნილ კუნჭულს ჩვენი სამშობლოსას და ყველგან, ყველას სამგლოვიარო, გულის ჩამწყვეტი სამწუხარო ამბავი მიუტანა — და მთელი ქართველობაც „ცრემლსა ღვრის მდუღარეს“.

ი — ა.

## სხვა-და-სხვა ამბები.

ამ თვის 25, კვირას სათავად-აზნაურო თეატრში მელიტონ ბალანჩივაძის მიერ გამართული იქნება ქართული კონცერტი. მომღერალთა გუნდი ბალანჩივაძის ლოტბარობით და ბ. რატილის სოლოთი შეასრულებს სხვათა შორის ახლათ დაწერილ სვანურ სიმღერებს. თვით ბ. მელ. ბალანჩივაძე იმღერებს ახალ ქართულ რომანსებს. ამ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სხვა ცნობილი არტისტებიც. იმედია, ქართველი საზოგადოება დიდი სიამოვნებით დაესწრება ამ კონცერტს, რადგან იგი შინაარსით ფრიად საგულისხმოა. აგრეთვე ახლა, ამ დიდ მარხვაში, სხვა გასართობი არა არის-რა და ამ საღამოს მაინც გაირთობს თავს საზოგადოება. ამით კი საზოგადოება თვითონაც დატკბება და ბ. ბალანჩივაძესაც წააქეზებს სამოქმედოთ.

* * *

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების უკანასკნელ კრებას ხმის უმეტესობით გადაუწყვეტია შეიძინოს ბ. სტრუვეს მამული, სადაც აგებულ უნდა იქნეს სადგომი ამ ბანკისათვის.

* * *

„კავკ. სამეურნეო საზოგადოების“ გაზეთს მოყავს აზრი ახალ-ალექსანდრიის პროფესორის ვ. ფონ-ბრანკესი იმის შესახებ, რომ კავკასიაში უნდა გაიხსნეს უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი საცტეო განყოფილებით. ნიადაგი და ჰავა კავკასიისა ისე მრავალგვარია, რომ თუ ასეთი სასწავლებელი დაარსდა და კავკასიამ კულტურის მხრით უფრო მაღლა აიწია, მაშინ იგი უპირველეს ადგილს დაიჭერს მთელ რუსეთის იმპერიაში თავისი წარმოებითა და მრეწველობითაო. იმედია, ვისიც ჯერ არს, ამ აზრს პროფესორისას ყურადღებას მიაქცევს და ჩვენც მოგვეცნიჭება ეს ფრიად საჭირო სასწავლებელი.

* * *

ჩვენ მივიღეთ ახლათ გამოცემული „ქართული წერის დედანი“ შედგენილი ვარ. გაბიჩვაძისაგან. დედანი შნოიანათ შედგენილია, სუფთათ გამოცემული და ღირს 20 კ. ეს ფასი დიდი არ არის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასე იაფ ფასიანი დედანი ბლომათ გაიყიდება. დედანში ქართული წერის ყველა ხელია მოთავსებული.

* * *

კავკასიის საფილოქსერო კამიტეტს პრენცესა მიურატისათვის ნება დაურთავს გამოიწეროს 5000 ამერიკის ვაზი ზუგდიდში საჩქოლეს გასამართავათ.

* * *

ქუთაისში 18 ამ თვეს გამართულ იქნება სამუსიკო და სალიტერატურო საღამო, რომლის წმინდა შემოსავალი წყალდიდობისა და დიდი თოვლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ იქნება გადადებული.

რედაქციას სხვა-და-სხვა ადგილებიდან ეკითხებიან, თუ სად და ვის უნდა გაეგზავნოს შეგროვებული ფული, რომ დაზარალებულთ უეჭველათ მიეწვდინოს. ვაცხადებთ, რომ ეს ფული რედაქციების სახელზე უნდა გამოიგზავნოს და დანიშნულებისამებრ გადაიცემა, ვიდრე კამიტეტის დასაარსებლათ ნებართვა მოვიდოდეს.

## საყურადღებო ამბავი.

ქ. განჯა. 28 იანვარს განჯის საკრებულო დარბაზში ქ-ნი საფაროვი-აბაშიძისა და ბბ. ყიფიანისა, სვიმონიძისა, ვიოლონჩელისტი ი. ფ. სარაჯევისა, პიანისტი კესნერისა და მომღერალი ბალანჩივაძის მონაწილეობით გამართულ იქმნა წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ქართული საღამო, რომლის წმინდა შემოსავალი ექვსას მანეთს აღემატება. რვა საათი იქნებოდა, როცა მთელი განჯის საზოგადოება, ხალხოსნობისა და წოდებისა გაურჩევლათ ერთი სულით, ერთი გულით გამსჭვალულნი აქაურ საკრებულო დარბაზში შეიკრიბნენ. საჯდომი ადგილები რომ არა ყოფნიდათ, ბევრი ფეხზე იდგა და მოუთმენლათ ელოდენ თბილისიდან მოწვეულ საყვარელი სტუმარ-არტისტების თამაშობით დამტკბარიყვნენ. მართლაც-და საზოგადოების ლოდინმა დიდ ხანს არ გასტანა: ცხრა საათის მეოთხედი იქნებოდა, რომ ფარდა ახადეს და წარმოდგენაც დაიწყო.

წარმოდგენილ იყო: „დატრიალდა ჯარა“ ვოდევილი კ. ყიფიანისა და რაფიელ ერისთავის კომედია: „ბიძიასთან გამოხუმრება“. არტისტებმა ისე მწყობრათ და ნიჭიერათ შეასრულეს თავიანთ როლები, რომ მსმენელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანეს. ტაშის ცემას და „ვაშა-ვაშას“ ძახილს, ბოლო აღარ მიეცა.

თბილისიდან მოწვეული არტისტების თამაშობის შესახებ მე არას ვიტყვი, რადგანაც მათდამი უხვათ მიმადლებული ნიჭი თვითოეული შეგნებული ქართველისაგან ცნობილია, მე აქ მხოლოთ გაკვრით მოვიხსენებ პირველათ სცენაზე გამოსულ მოთამაშეებს, რომელთაც მართლაც, რომ დიდი სასცენო ნიჭი გამოიჩინეს. აქაური სცენის მოყვარულ არტისტებთა შორის წლევანდელ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს: ქ-ნ მირიანაშვილისამ (ტატინა), ბაქრაძისამ (ირინე); ბბ. ნ. ლ. ბაქრაძემ (ხიჩილა), დ. ბაქრაძემ (იოანე ზარაფი) და ე. გორგასლიძემ (იმერელი ბიჭი). ჩვენდა სასიამოვნოთ და სასიხარულოთ ამ პირებმა ისე სავსებით, სიცოცხლით და ნიჭით გაგვითვალისწინეს მათ მიერ აღებული როლები, რომ განჯაში მცხოვრებ ქართველებს იმედი ჩაგვესახა ქართული სცენის სამუდამო მოყვარულთა დასი დავიარსოთ და დრო-გამოშვებით წარმოდგენები ვმართოთ.

ქართული პიესების წარმოდგენას შემდეგ გაიმართა საკონცერტო განყოფილება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: სარაჯიშვილმა, კესნერმა და ბალანჩივაძემ. ქ-ნი მ. ნ. ხუციშვილისამ როიალზე დაუკრა. ბ. ბალანჩივაძემ ლამაზი ხმით იმღერა თავისივე რომანსი და გრ. ვალსკის სიტყვები „ოდეს მეწვევა სევდა დამწველი“ და რამდენიმე რუსულ-ქართული ხმებიც. საკონცერტო განყოფილებამაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. ბოლოს გაიმართა ლეკური და ევროპიული ცეკვათამაში კოტილიონით, რომელიც დილის ხუთ საათამდის გაგრძელდა.

ღამის პირველ საათზე თბილისიდან მოწვეული ძვირფასი სტუმრები აქაურმა ქართველმა საზოგადოებამ მიიწვია ვახშამზე საკრებულო დარბაზის ერთერთ ხალებით და მცენარეებით მორთულ-მოკაზმულ ოთახში და თვისი გულწრფელი მადლობა განუცხადა საქველმოქმედო საქმისთვის უსასყიდლო შრომის მიღებისათვის. ვახშამმა საერთოთ მხიარულათ ჩაიარა. წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა, რომელთა შორის ბ. სვიმონიძის სიტყვამ მიიქცია საზოგადო ყურადღება: ყოველი კეთილი აზრიო, თქვა ორატორმა, რომელიც კი ჩვენი ცხოვრების ვითარებას წამოუყენებია, ამ უკანასკნელი სამ-ოთხი წლის განმავლობაში მხურვალე თანაგრძნობას პოულობს პროვინციებშიო. ამ მხრით განჯა, ბათუმი და ბაქო თითქო ერთმანეთს ეჯიბრებიან და თვით საქართველოს დედა ქალაქს თბილისაც კი წაუსწრესო. ვისურვებთ, დააბოლოვა ორატორმა თავისი სიტყვა, რომ განჯის ქართველობაში ამ სასიქადულო მოვლენას უფრო და უფრო მეტი ნაყოფიერი ნიადაგი მოეპოვოს, რათა მით ჩვენს საერთო სამშობლოს, საქართველოს სასურველი მერმისი მოსწრებოდეს. საზოგადოება, დიდათ ნასიამოვნები, სახლებში დაბრუნდა დილის რვა საათზე.

დასასრულ, დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ საღამოს გამგე პირნი: ა. გ. ყანჩელისა და საპატიო კომიტეტის წევრები: ა. სარაჯიშვილი, მ. ფურცელაძე, ს. მაჩაბელი, კ. ხუციშვილი, ფ. კიკნაძე და ნ. მჭედლიშვილი, რომელნიც დაუღალავათ შრომობდენ, რათა საღამო რიგიანათ მოეწყოთ. შესაძლოა ბევრი რამ აკლდა, ბევრი რამ არ იყო თავის რიგზე, მაგრამ გამგე პირთ დანაშაული არ მიუძღვით. თვითოეულ მათგანს თამამათ შეუძლია თქვას: feci, quod potui.

ა. უუმისთაგული.

## ტყის მცველთა ბოროტ-მოქმედებანი.

რამდენათაც კაცი ახლო უკვირდება გლეხთა უკიდურეს ცხოვრებას, რამდენათაც გულ-დადებით თვალ-ყურს ადევნებს მის ტანჯვა-ვაებათ, იმდენათ მატულობს მისი განცვიფრება და უნებლიეთ ეკითხება თავის თავს: რა ამტანი და გულ-მაგარი არსებაა გლეხი?! მართლაც, კაცმა რომ გამოიანგარიშოს კანონიერი და ბევრჯელ უკანონო სავალდებულო გადასახადი, რომელიც საცოდავ გლეხს მძიმე უღლათ კისერზე აწევს და აგრეთვე შემოსავალიც, რომელიც გლეხს წლის განმავლობაში შემოდის ოფლის ღვრით,—დავრწმუნდებით, რომ გარდასახადი ყოველთვის ორჯელ მაინც აღემატება შემოსავალს. ამიტომ ზოგი ყელამდე ვალში იხრჩობა, ზოგს შიმშილით სული და ძალ-ღონე მოხდილი აქვს და ზოგიც, თუ მკლავიც უჭრის, ყაჩაღობს და სხვა ამ გვარ უზნეო საქციელს მისდევს. ამ ჟამათ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმ ტანჯვა-ვაებაზე, რომელიც მიყენებული აქვს გლეხებს ტყის მცველთაგან, ასე წოდებულ „აბეშიკ-პოლესოვჩიკებისაგან".

6—7 წელიწადია, რაც ტყის მოხელეთ ვმსახურებ, დავკვირვებივარ ტყის-მცველთა მოქმედებას, როგორც ტფილისის, ისე უმეტესათ ბაქოს გუბერნიაშიაც ამ ხნის განმავლობაში გამოსაძიებლათ მქონია არა ნაკლებ 200—300 საქმისა ტყის მცველთა მოქმედებაზე. თითქმის 80% მეტი ბოროტ-მოქმედება აღმომიჩენია.

წარმოიდგინეთ, ზოგ სოფელში ბოქაულების ისე არ ერიდებათ, როგორათაც „აბეშიკებისა". (ბაქოს გუბერნიაში „აბეშიკებს" „მეშა ბეკს" ეძახიან, ე. ი. ტყის თავადს). სოფელში ყველას კარი ღიაა „აბეშიკებისთვის"; ვისთანაც კი ინებებს „აბეშიკი" ჩამოხტომას, მასპინძელი უეჭველათ ლოგინიევით უნდა ეგებოდეს და, ვაი იმის ბედს, თუ მცირეთაც არის, „აბეშიკის" მოთხოვნილება რამ არ აღასრულა! ამისთანა მაგალითები იშვიათი არ არის: ვთქვათ, ერთი გლეხი მეორეს გადამტერებულია. პირველი მიდის დიდი ძღვენით „აბეშიკთან", მიაქვს აგრეთვე, რასაკვირველია, „გასამრჯელოც" ფულათ და თხოვს, ამა და ამ კაცს ოქმი შეუდგინეო. „აბეშიკიც" არც აციევს, არც აცხელებს, მაშინვე შეუდგენს ხოლმე საბრალო კაცს ოქმს და მოწმათ ან მოქრთამესვე დაისწრებს, ან—არა და ადგენს უმოწმოთ.*) რამდენიმე ხანს შემდეგ იმ საწყალ კაცს მსაჯულისაგან უწყება მოსდის. განცვიფრებული ეკითხება თავს, რათ? როდის? რისთვის? და გულ-დათუთქული, რამდენჯერმე მიდის სამაზრო ქალაქში, რომ ბოლოს გაიგონოს ის ჯავრი, რომლითაც 25—70 მანეთი ჯარიმა ედება. ეს იმიტომ, რომ მან ვერ დააკმაყოფილა თავის დროზე „აბეშიკი". ისეა საქმე დაყენებული, რომ სასამართლოებში ერთ „აბაშიკს" უფრო მეტი გასავალი აქვს, ვიდრე 3—5 და მეტ მოწმეს. საქმე არც ამით ბოლოვდება, თუ ერთსა და იმავე პირზე ორი წლის განმავლობაში ორჯელ შედგა ოქმი, მას ხომ ატუსაღებენ კიდეც ორ კვირიდან ორ თვემდე.

ვთქვათ აგრეთვე, რომ რომელმე „აბეშიკმა" ფარულათ გაყიდა სახაზინო ტყე. თავის ამ გვარი ბოროტ-მოქმედება რომ დაფაროს, ხმარობს შემდეგ ხრიკს: დარაჯობს, ვიდრე იმ გაჩეხილ ტყის ახლო-მახლო ვისმე შეხვდებოდეს, და მაშინვე ისწრებს მოწმეებს და მთელ გაჩეხილი ტყის საფასს ახვევს ამ საბრალოს თავზე. საბრალო ათი და ოცი მანეთის ჯარიმით კი ვერ გადარჩება, ხშირათ 80 და მეტი მანეთი ჯარიმა გადახდება, და ეს იმიტომ რომ ერთი ზურგი ხმელი შეშა ტყიდან გამოიტანა. ასეთი მაგალითებიცაა: ვთქვათ, რომელსამე გლეხს თავის ბაღიდან მოაქვს ხეები ან შემონართმევი ხმელი ტოტები. ამას რომ დაინახავს „აბეშიკი", დაუწყებს ვაჭრობას, ამდენი და ამდენი მომეცი, თორემ შავ დღეს დაგაყენებ. თუ როგორმე მოიმადლიერა გლეხმა ხომ კარგი, თუ არა-და, შეუდგენს ოქმს. იმ ოქმში როდი იხსენიებს საქმის ნამდვილ გარემოებას. არა. წერს, რომ ამა და ამ სახაზინო ტყეში იყო მოჭრილიო. მოდი და ტეტია გლეხმა დაუმტკიცოს, რომ „აბეშიკი" სტყუის: ხშირათ სამსჯავროში გაბედვითაც ვერ ლაპარაკობს, რადგან ეშინია „აბეშიკმა" ამისათვის მეორეთ უარესი დღე არ დააყენოს...

კიდევ კარგი, თუ მართლის მოყვარე ტყის უფროსი (ЛѢСНИЧІЙ) შეხვდათ, თორემ შენი მტერი, რომ გლეხებს დღე ადგიათ გაიძვერა „აბეშიკებისაგან!" ისინი ყველა ჩარჩზე უარესნი არიან!

შეუძლებელია ყველა ის ხრიკები და უსინდისობა ჩამოითვალოს, რომელთაც ხმარობენ გაიძვერა ტყის მცველები ბეჩავი და უმისოდაც დაჩაგრული გლეხის მოსატყუებლათ და გასაყვლეფათ. ასეთი შევიწროება რომ აცდეს გლეხს, საჭიროა ტყის უფროსებმა (ЛѢСНИЧИМЪ) ამას უფრო დიდი ყურადღება ათხოვონ და თავის თანაშემწეთ. ესენი, „აბეშიკების" მიღების დროს იმას კი არ უნდა ეძებდენ, რომ იგი იყოს მოსული და ახოვანი, არამედ უმ-

---

*) „აბეშიკებს" კანონით უფლება აქვთ მინიჭებული შეადგინონ ოქმი 25 მანეთამდე უმოწმოთ.

თაერესათ უნდა აქცევდენ ყურადღებას მის ზნეობრივ მხარეს და „აბეშიკის“ ქცევას ხშირათ ადევნებდენ თვალ-ყურს, იკვლევდენ, რამდენათ მართალია იმათი შედგენილი ოქმი, ყურადღებას აქცევდენ გლეხთა საჩივარს, „აბეშიკების“ ბოროტ-მოქმედებას და სხ. ყველა ამას რომ მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, მაშინ „აბეშიკთაგან“ ჩადენილი ბოროტ-მოქმედება ბევრათ შემცირდება. გლეხ-კაცობაც ისე შევიწროებული არ იქნება ამ მხრით, როგორათაც დღეს არის, შემცირება ბოროტ მოქმედებისა, რასაკვირველია, უმთავრესი სურვილია მთავრობისაც და მომეტებულ ნაყოფსაც შეძენს ხაზინას.

გ. ახალციხელი.

---

## გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების გამო.

გლოვის ზეწარი ქართველთა ერსა
ხელ ახლათ თავზე გადაეფარა:
მამულიშვილი საუკეთესო
შავმა სამარემ შთანთქა, დაფარა.

—

ბევრი ვაებით ტანჯულ ქართველებს
ქირის უფლობა აღარ გვცილდება
და უმჯობესნი მამულიშვილნი
თითო-ოროლა ყოველ წელს კვდება.

—

აი, ახლაცა მამა გაბრიელ
გამოეთხოვა ქართველთა ერსა.
სათნოებითა შემკულმა კაცმა
იქ განისვენა, სასუფეველსა.

—

მან თვისი დღენი მამულს შეწირა
და უთვალავი ცრემლები ღვარა.
წამლათ გაუხდა თვის სამშობლოსა,
ტანთ საცმელივით გარსა ეფარა.

—

ბევრი რამ კარგი მან დაგვიტოვა
და გაგვინათლა იმითი ბნელი!
მაშ, მანამ იყოს ქართველი ერი,
უკვდავი იქნას იმის სახელი.

დ. ტეზრელი.

---

## კვირიდან კვირამდე.

საკვირველია ჩვენი ჟურნალ-გაზეთობის საქმე!.. ისე არ წარმოთქვამს რომელიმე დროგამოშვებითი გამოცემა მეორე გამოცემის შესახებ რაიმე მოსაზრებას, რომ მას ერთი აყალმაყალი არ დაატეხონ თავს და არ დაწამონ ფარული უკეთური აზრი, ვითომც სურდეს იმ გამოცემის არსებობის მოსპობა. კიდევ კარგი, თუ ამისთანა მითქმა-მოთქმა სტამბის გარეშე ტრიალებს, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ამ ბოლო დროს ამ „მოვლენამ“ ჩვენს მწერლობაშიაც იჩინა თავი და, დროზე თუ არ მოვსპეთ, სწორეთ მომაკვდინებელ ჩვეულებათ გადაგვექცევა... ჯერ ერთი ის წარმოიდგინეთ, რა უნდა იყოს დროგამოშვებითი გამოცემა, რომლის არსებობა და კეთილ-დღეობა მხოლოთ კრიტიკის უქონლობაზეა დაფუძნებული?!. იქნები ისე არსად იყოს საჭირო კრიტიკა, როგორც საჟურნალ-გაზეთო საქმეშია საჭირო. თუ მივიღებთ მხედველობაში დასტამბული სიტყვის გავლენას უმრავლესობაზე, მაშინ ცხადათ და ნათლათ წარმოგვიდგება კრიტიკის აუცილებლობა: საჟურნალ-გაზეთო საქმის წესიერ ნიადაგზე დაყენება ხომ განათლების ერთი საუკეთესო საშუალებას გაუმჯობესებისას მოასწავებს. სამწუხაროთ, აქამდინაც ვერ შეგვიგნია ეს საანბანო ჭეშმარიტება და ვცდილობთ კრიტიკის გაყუჩებას, როგორც ლათინურათ ამბობენ ხოლმე, per fas et nefas, ე. ი. ყოველივე საშუალების ხმარებით. არ გაგონილა, არ თქმულა არსად, რომ კრიტიკას თავისდა თავათ ბოლო მოეღოს რომელსამე გაზეთისათვის ან ჟურნალისათვის და, თუ ამგვარი რამ მომხდარა, ისევ დალუპული გამოცემის მმართველების ბრალი ყოფილა. ცხადია ამ დროს კრიტიკა მხოლოთ საერთო, საზოგადო აზრის აღმსარებელი ყოფილა და ვინ რას გააწყობს ამისთანა მძლავრ მტერთან, თუ თვით ხელ-მძღვანელნი არ ეცდებიან საქმის რიგიანათ წაყვანას. აგრე რომ ყოფილიყო, ერთი დამოუკიდებელი გაზეთი, სხვა „ორთოდოქსა-

ლურ" გამოცემებისაგან ათვალწუნებული, დიდი ხანია უნდა „ალგვილიყო დედა-მიწის ზურგიდან", რადგან ისეთი „ვითომ-კრიტიკა"—უშვერი და მწერლობაში შეუფერებელი სიტყვებით შემკული—თითქმის სხვას არავის ხვდომია წილათ. მაგრამ, ღვთის მადლით, ამისდა მიუხედავათ, ხომ არსებობს და იმედებით სავსე გაიყურება მომავლისაკენ. ჩვენ სწორეთ ბოდიშის მოხდა გვჭირდება მკითხველთან, რომ საქსიომო რამეებს მოვუთხრობთ, მაგრამ რას ვიქმთ, ნება-უნებლიეთ უნდა წავიმძღვაროთ ყველა ეს, რომ ჩვენს ნალაპარაკევს სხვა განზრახვა არა დაწამონ-რა. ჩვენ გვსურს მივუთითოთ ჟურნალ „მოამბის" ერთ ნაკლულევანობაზე, რომელიც ამ ბოლო დროს ყველასათვის აშკარა შეიქმნა. საზოგადოებაში ამის შესახებ კიდეც ლაპარაკობენ და მწერლობა რომ გაჩუმდეს—ეს ხომ მოვალეობის თავიდან აცილება იქნება. ჩვენ „ივერიასავით" უსაფუძვლოთ და უსაბუთოთ ხოტბას ვერ ვეტყვით მას, არამედ შევეხებით პირდაპირ არსებით საგანს, რადგანაც ჟურნალი „მოამბე"—საზოგადო კუთვნილებათ მიგვაჩნია და მისი გაუმჯობესებაც ადვილათ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს „მოამბის" ის ნაწილი, რომელსაც საზოგადოთ „შინაური მიმოხილვა" ჰქვია. აგრეთ წოდებული „სქელი" ჟურნალების, რომელთ კათეგორიას ეკუთვნის ჩვენი ჟურნალიც, „სულსა და გულს" შეადგენს შინაური და გარეშე ცხოვრების მიმოხილვა ან ქრონიკა. ამ განყოფილების ხელმძღვანელი სჯის საშინაო თუ საგარეო ცხოვრების სხვა-და-სხვა მოვლენას და მით გზას უკვლევს საზოგადო მსჯელობას. ეს ნაწილი ჟურნალს აძლევს ფერსა და მიმართულებას, რომლით ჟურნალები ერთი მეორისაგან განირჩევიან. ამიტომ საჭიროა, რომ ამა თუ იმ ჟურნალის რედაქციას ცოდნით და გამოცდილებით შეჭურვილი მიმომხილველი ჰყავდეს, თუ სურს, რომ მისი ჟურნალი უბრალო კრებულს არ დაემგვანოს და საზოგადოებაში შესაფერი გავლენა მოიპოვოს, რათა ჟურნალის აზრები სახელმძღვანელოთ გაუხადოს საზოგადოებას. გავიხსენოთ ჩვენი ძველი ჟურნალები და დავრწმუნდებით, რომ ამ მხრით ისინი შესაფერათ ასრულებდენ თავის მოვალეობას. სამწუხაროთ, ამასვე ვერ ვიტყვით ჩვენს ნორჩ ჟურნალ „მოამბეზე". ამას აკლია ის „სულის ჩამდგმელი", რომელსაც ადვილათ შეეძლოს ჟურნალის განცხოველება. ამ ორი წლის განმავლობაში, ვინ იცის, რამდენჯერ გამოიცვალა მან შინაური ცხოვრების მიმომხილველი და ვერც ერთიკი ვერ შეირჩინა!.. აი, ამ იანვრის ნომერშიაც ვიღაც ახალი „მიმომხილველი" გამოჩენია. ეს გვიძლევნის ჰომეოპატიური დოზით იმ საგნების „მიმოხილვას" (!), რომელიც დიდი ხანია გამოარკვია ჩვენმა გაზეთებმა. ამიტომ, ვეჭვობთ, რომ აქ ვინმემ ჰპოვოს „გონების საზრდო". სამაგიეროთ ის ამოიკითხავს ამ „მიმოხილვაში" ერთი მშრომელი პირის გაკიცხვას, რაიც თავის უსამართლობით ბევრს გააცხარებს. ჩვენ ვამბობთ ბ-ნ ზაქარია ჭიჭინაძის უმართებულო ხსენებაზე. აი, თვით ამონაწერიც: „გვეფიქრება მხოლოთ სიტყვამ „მოღვაწეობამ" არ წაგვიტყუოს და ერთი საწყაულით არ მივუწყოთ „ჯაგლაგ ცხენსა" და მერანს, რომელიც „მირბის და მიგვაფრენს". კახაბერობა არ ვუწოდოთ მას, ვინც ვერ იზამს (ესეც ქართული!..) კახაბრობას. ყველა ამის თქმას გვაიძულებს შემდეგი გარემოება. აგერ „საქართველოს კალენდარში" აღნიშნულია მოღვაწეთა შორის ზ. ჭიჭინაძეც და კალენდრის ფურცლებს ამშვენებს მისი სურათიც და ბიოგრაფიაც. ჩვენ ამაზე არაფერი გვეთქმის. არაფერს ვიტყოდით მაშინც კი, რომ კალენდრის შემდგენელს აქვე გვერდით მოესვა ახპატელოვი (!), ისეთივე სურათით და საინტერესო ბიოგრაფიით. ეს გარემოება მხოლოთ ამტკიცებს, რომ მეკალენდრეს თვალთა ხედვის ისარი (!) ძლიერ მოკლე მანძილსა ჭრის. ასეთი ისარი მხოლოთ ბ ა ვ შ ვ ე ბ ი ს გ ა ს ა რ თ ო ბ ა თ თუ გამოდგება, თორემ ჩვენ ხელსაც არ დავაკარებთ"..

არ ვიცით, იქნება ჩვენში გამოჩნდეს ვინმე, რომ ამ „მიმოხილვის" (!) დამწერს დაასაკება მიულოცოს და „მომწიფების მოწმობაც" მიუსაჯოს, მაგრამ ჩვენი მხრით ვფიქრობთ, რომ ამგვარი „მიმოხილვების" დასტამბვა ვერაფერ ხეირს დააყრის ჩვენს ჟურნალს, რომელსაც პირველშივე საზოგადოება თანაგრძნობით მიეგება... ზაქარია ჭიჭინაძე და ახპატელოვი!.. განა თვით საზოგადოებამ არ იცის, რომ ესენი შესადარებელნი არ არიან?.. მაშ რათ ვუხვევთ მკითხველს თვალს?!. ზაქარიას არ იცნობენ, როგორც მწერალს. თვით ზაქარიას თავის თავი მწერლათ არც მიაჩნია. საზოგადოება საყურადღებოთ თვლის ზაქარია ჭიჭინაძის მუშაობას სულ სხვა სარბიელზე და განა ამ მოქმედებას მოღვაწეობა არ დაერქმის?!. გაიხსენეთ მარტო აჭარა ლივანა-ქობულეთში მოგზაურობა, ეროვნული გრძნობის გაღვიძება მაჰმადიან ქართველებში, გადიკითხეთ ამის შესახებ მისგან „ივერიაში" დასტამბული წერილები, დაუმატეთ ამას ჩვენი მწერლების გამოცემანი იმ დროდან დაწყებული, როცა არავითარი გამომცემელი ამხანაგობა არ არსებობდა ჩვენში—და ცხადათ დაინახავთ, რომ ზაქარიას შრომა, თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, ფასდაუდებელია. ჩვენ კი, უმადურნი, კიცხვით ვიხსენიებთ მას და გვწყინს, რომ მისი ნახატი დავინახეთ ისიც სად?—გუნიას კალენდარში!!. აი, შინაურულათ საპუბლიცისტო საქმის მოწყობას რა მოსდევს შედეგათ!.. ამის-



იშვიათი მცენარენი.

თანა უსიამოვნო ამბების ასაცილებლათ და საზოგადოთ საჟურნალო საქმის ჯეროვანათ მოსაწყობათ ჩვენ ვგონებთ საჭიროა მოხდეს არსებითი ცვლილება თვით სარედაქციო პერსონალში, უამისოთ ჟურნალის „მოსულიერება“ არ შეიძლება. ის ისევ „მისუსტებული“ იქნება, როგორც ახლა არის...

—

თებერვლის 4-ს დამთავრდა ჩვენი სათეატრო სეზონი. წარმოდგენის გათავებას შემდეგ საზოგადოებამ რამდენჯერმე გამოიხმო მსახიობთა დასი და ალტაცებული ტაშის კვრით დააჯილდოვა, როგორც მთელი დასი, ისე რეჟისორი—ჩვენი ნიჭიერი მსახიობი, ბ. ვლ. მესხიშვილი. ასეთი არა—ჩვეულებრივი მადლობა და თანაგრძნობა სწორეთ საყურადღებოა და ჩვენი ცხოვრების მემატიანე ევალება აღნიშნოს ეს გაზეთის ფურცლებზე. შესანიშნავია წარსული სეზონი იმითაც, რომ ჩვეულებრივათ დეფიციტით არ დაბოლოვებულა. რამ მოუპოვა ჩვენს თეატრს საზოგადოების თანაგრძნობა?.. უპირველეს ყოვლისა, წარსულ სეზონს თუ გადავავლეთ თვალი, ჩვენს ყურადღებას მიიქცევს რეპერტუარის გაუმჯობესება. წარმოდგენილი პიესების სიაში, რაც უნდა გულ-მოდგინეთ ეძებოთ, თქვენ ვერ ჰპოვებთ იმისთანას, რომელსაც ჩვენი სცენის შეუფერებელი ხასიათი ჰქონდეს. შეუსაბამო და უწმაწური შინაარსის პიესებს, რომლით ასე მდიდარი იყო წინანდელი სეზონები, წრეულს სრულებით არ ჰქონდა ადგილი დათმობილი.

რეპერტუარი შედგებოდა ზოგიერთი ახალი და კლასიკური პიესებისაგან. თვით მსახიობთა დასი გაუმჯობესებული იყო. თითქმის ყველა ჩვენი ნიჭიერი არტისტი იღებდა მონაწილეობას. განსაკუთრებით აღსანიშნელია, რომ ჩვენი საზოგადოება ამ სეზონში და-ძმა მესხების ხელოვნური თამაშობით ტკბებოდა. ამათ გარდა ჩვენს სცენაზე თამაშობდენ ჩვენი წარჩინებული მსახიობნი: ქ-ნნი საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ბბ. ვასო აბაშიძე, ვლ. მესხიშვილი, კოტე ყიფიანი, ბ. გედევანიშვილი. ამისთანა ცნობილ არტისტებისაგან შემდგარ დასს, რა გასაკვირველია, უნდა მიეზიდა ხალხი. ამიტომ ამათ ბენეფისებს ჩვენი საზოგადოებაც ბლომათ ესწრებოდა. სცენის მოწყობილებასაც არა უჭირდა-რა. ამ სეზონს შემდეგ ჩვენს თეატრს დარჩა გაუმჯობესებული გარდერობი, რადგანაც ახალ პიესებისათვის ახალი ტანისამოსი იკერებოდა. თვალ-საჩინოთ იყო მოწყობილი, მაგ., „მადამ სან-ჟენის“ და „იაკობელების“ წარმოდგენები. ყველა ეს არის ღირსება წარსული სეზონისა. სამწუხაროთ, ღირსებასთან ერთათ მას ნაკლიც ემჩნეოდა. მეორე ხარისხის როლების აღმასრულებელნი სრულებით არ ვარგოდენ გარდა ახალგაზდა მსახიობის ჩხეიძის ქალისა, რომელიც სხვებზე მეტ ნიჭს იჩენს თამაშობაში. ამათში ბევრი იმისთანა აქტიორები იყვენ, რომელნიც ცნობილ არტისტებს ვერ შეეთამაშებოდენ ხოლმე და მხოლოთ ანსამბლს აფუჭებდენ. სასურველია ეს ნაკლი შემდეგში მაინც შესწორდეს. ახლა პროვინციის სხვა და-სხვა შესამჩნევ ადგილებში ხშირათ იმართება ხოლმე სცენის მოყვარეებისაგან წარმოდგენები. აქ უნდა მოვძებნოთ მსახიობნი ჩვენი დასის შესავსებლათ. კამიტეტის მოვალეობაა ეს საქმე შესაფერათ მოაწყოს. მაგალითათ შემოდგომაზე წერდენ „ივერიას“ ფოთიდან, რომ „და-ძმა“ წარმოადგინეს სცენის მოყვარულთა და კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს დამსწრე საზოგადოებაზედაო. ის სცენის მოყვარულნი მერე აქ ჩამოვიდენ თბილისში, მაგრამ ვერა გზით ვერ მოახერხეს დასში შესვლა. ასეთი უყურადღებობა, თქმა არ უნდა, შეაფერხებს ჩვენი სათეატრო საქმის მსვლელობას. უყურადღებოთ დაუტოვებია კამიტეტს აგრეთვე ბ. იერ. გულისაშვილის პიესაც, რასაც ჩიოდა ავტორი ამას წინათ „ივერიაში“ დასტამბულ წერილში. დამწერს თავის ნაწარმოები კამიტეტისათვის წარუდგენია და, როგორც ის ამბობს, წაკითხვაც კი არ ულირსებიათ. ერთი პიესა ბ. გულისაშვილისა ჩვენ გვინახავს სცენაზე და კარგათ გვახსოვს საზოგადოებასაც მოეწონა. სასურველია, შემდეგში სათეატრო საქმის მმართველებმა უფრო მეტი ყურადღება, უფრო მეტი მიუფერებლობა გამოიჩინონ და ჩვენი ცხოვრების გამომხატველ პიესებს უპირატესობა მისცენ. თეატრის გამგებლებმა უნდა დაიპყრან „მართლის მწერვალი“, რადგანაც ეს ისე არსად არის საჭირო როგორც აქ, ხელოვნების ტაძარში—ამ ნიჭის და მხოლოთ ნიჭის სამფლობელოში. „მიეცით ნიჭსა გზა ფართო!..“ აი, დევიზი ხელოვნების მსახურებისა. ერთი პატარა შენიშვნაც კიდევ. ჩვენ გვგონია, რომ ადგილების ფასებს უნდა დაუკლოს კამიტეტმა. ფასებს მოემატება მხოლოთ მაშინ, როცა კამიტეტს საბუთი ექნება, რომ ხალხი ბლომათ დაესწრება ამა თუ იმ წარმოდგენას. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი თეატრი—ს ა ხ ა ლ ხ ო თეატრია უწინარეს ყოვლისა, ამიტომ თეატრში შესვლა უმრავლესობას უნდა გავუადვილოთ. მაინც-და-მაინც ახალი კამიტეტის პირველმა ნაბიჯმა დაგვანახვა, რომ მხნეობას და საქმის სიყვარულს კარგი შედეგი მოსდევს. სასურველია ეს მხნეობა მას კვლავაც არ დააკლდეს...

გრ. ოდიძე.

## ზოგი მცენარის ყვავილი სიმწიფის დროს სქდება და ხმას გამოსცემს ხოლმე.

ძველი დროის მწერლები ხშირათ მოგვითხრობენ, რომ ზოგი მცენარე ხან-და-ხან ძლიერ ხმას გამოსცეს ხოლმე. პინდარი ერთ-ერთ თავის ლექსში ამბობს, რომ ყვავილი ფინიკის პილმისა ისეთი ძალით სქდება, რომ ამ დროს დიდ ხმაურობას გამოსცემს და ამით გვაცნობებს გაზაფხულის მოახლოვებას. დიდ ხანს ეს შეუძლებელი ეგონათ და არ ჯეროდათ. ხოლო დიდებულმა ბუნებისმეტყველმა ალ. ჰუმბოლტმა მიაქცია ამ მოვლენას ყურადღება და მისი სინამდვილე ყოველ იჭვს გარეშე დასვა. მიზეზი ასეთი საოცარი მოვლენისა ის არის, რომ სიმწიფის დროს ყვავილი ბევრ სითბოს შეიცავს. ამ სითბოს გამო კი ჰაერი და წყლის ორთქლი, რომელიც ყვავილშია, გაფართოვდება, გადიდდება—და ამიტომ გარეგანი კანი ყვავილისა გასქდება და ხმას გამოსცემს.

*) იხ. სურათი 125 გვ.



ლ ე კ ი.

## გაბრიელ ეპისკოპოსის ანდერძი.

(„მწყემსი“ № 2. *)

ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი 1890 წელში ავათ გახდა. იგი შიშობდა, რომ ეს ავათმყოფობა არ გაძლიერებოდა. ამისთვის მისმა მეუფებამ შეადგინა ანდერძი თავის ქონებისა და ფულების შესახებ, რომელიც მას დარჩებოდა გასვენების დროს. მოგვყავს ანდერძიც:

„წმიდა ხატებიდან ორი, მაცხოვრის და ღვთისმშობლისა მოჭედილი ხატები ჩამოიკადოს ჩემ სასაფლავოსთან გიუქრობელი კანდელით, რომელიც დღესაც ჰკიდია ამ ხატების წინ. ყველა სხვა ხატები და აგრეთვე რუსული და ქართული საეკლესიო ღვთის-მსახურების წიგნები გაიგზავნოს გურიაში სოფელ ბახვის ეკლესიაში.

ძვირფას პანაგიას, რომელიც მიბოძა მე ხელმწიფე იმპერატორმა, და აგრეთვე ძვირფას არქიმანდრიტის ჯვარს ალმასებით მორთულს, რომელსაც მე ვხმარობდი ღვთის-მსახურების დროს, ვსწირავ ქუთ. საკრებ. ტაძრის სალაროს. მეორე პანაგია, რომელიც უფრო უკეთესი იქნება, მიერთვას პირველ მღვდელ-მთავარს, რომელიც დაესწრება ჩემი წესის აგებაზე, და გარდა ამისა ფულითაც იქმნეს დასაჩუქრებული. მესამე პანაგია მიერთვას მეორე მღვდელ-მთავარს, თუ მეორეც დაესწროს, და მასთან შრომისათვის ფულებიც მიეცეს. თუ მეორე ეპისკოპოსი არ დაესწროს, მაშინ ეს პანაგია გადაეცეს იმავე ქუთაისის სობოროს. თუ ჩემს შემდეგ დარჩეს ხეირიანი ახალი ანაფორები და კაბები, ესეები მიერთვა' წესის აგებაზე დამსწრე არქიმანდრიტებს, დეკანოზებს და არხი-დიაკვნებს და აგრეთვე იგინი დაჯილდოებული იქმნენ ფულითაც, ხოლო კრებულის მცირე წევრებს მიეცესთ ფული. დანარჩენი უფრო ნაკლები ტანთ-საცმელი, საცვლები, სტოლის საფრები, ქვეშსაგებელი დაურიგდეს არქიერის გორაზე მცხოვრებ და სხვა ღარიბებს; ხეირიანი ნოხები გელათის ტაძარს, ხოლო ძალიან ძველები ქალაქის ღარიბებს: მათვე დაურიგდეს სტაქნები, ბლუდები, ჩაის კოვზები (გარდა ვერცხლისა); ასევე მოიქცენ სამზარეულოს აქთვერულლობის შესახებ, ე. ი.

*) იხ. კვალი № 7.

მიეცეს ღარიბებს. ვერცხლის ყველა ნივთები, რომელიც ჩემ სიკვდილს შემდეგ დარჩება, გაიყიდოს და ფულები დაურიგდეს ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ, ანუ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა.

ჩემს პატარა წიგნთ-საცავს ჩემი ანდერძის აღმასრულებელნი ასე უნდა მოეპყრან: ყველაზე უწინარეს მოიწვიონ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის უფ. ზედამხედველი, მისი თანაშემწე და ამავე სასწავლებლის სამმართველოის ერთი წევრი და მათ მიეცესთ ნება აღირჩიონ ჩემი წიგნთ-საცავისაგან ყველა ის წიგნები, რომელნიც სასარგებლო და გასაგები იქნება ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთათვის და სახელდობ საბავშო ჟურნალები, ნახატებიანი ჟურნალი „ნივა“ და ყველა ქართული წიგნები და მასთან ხუთი ცალი ჩემი ქადაგებისა. ყველა ესეები წაიღონ სასწავლებელში მოწაფეთა წიგნთ-საცავისათვის. სამი ტომი ნახატებიანი დაბადებისა ტყავის ყდებში გაკეთებული გარდაეცეს იმას, ვინც იქნეს მაშინ, ე. ი. ჩემი სიკვდილის დღეს, ჩემ ნათესავთაგანი სასულიერო აკადემიაში მოსწავლე, ანუ სემინარიაში, ბერი ანუ მღვდელი; წინააღმდეგ შემთხვევაში ეს წიგნები იმავე ადგილზე დარჩეს, ჩემი მოადგილეების საკუთრებათ, ხოლო ჩემი დახატული სურათი დარჩეს იქვე, სადაც ახლა არის. ალბომი მრავალი ფოტოგრაფიული სურათებით მიეცეს ჩემს ძმისწულს მიხეილ ათანასეს ძეს ქიქოძეს ანუ მის შვილს ჩემ მოსაგონათ, კედლის სხვა სურათები იქვე დარჩენ. ყველა სხვა წიგნები ჩემი წიგნთ-საცავისა შემიწირავს თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთა წიგნთ-საცავისათვის.

თუმცა ჩემი სიცოცხლის დროსაც მე, ღვთის მადლით, ყოველთვის ვეწეოდი ყველა წოდების შეუძლოთ და ღარიბთ, სხვა და სხვა სასწავლებელში ღარიბ მოსწავლეთ, მაგრამ ვგრძნობდი რა, რომ ასეთ შეწევნას აქვს მხოლოთ დროებითი მნიშვნელობა, მე ვცდილობდი, შემედგინა თანხა, რომ ამ თანხის სარგებელი სამუდამოთ ეხმარათ ღარიბთა სასარბებლოთ. ამ თანხიდან ვსწირავ ქვემოთ მოხსენებულ სასწავლებლებს და ქველის მომქმედ საზოგადოებას:

1. ქუთაისის სააზნაურო საადგილ-მამულო ბანკში დაცულს 12,200 მანეთს გირავნობითი ფურცლებით ვუტოვებ და ვუანდერძებ სამუდამოთ ბახვის შკოლას 12,200 მან.

2. იმერეთის ეპარქიის სასულიერო წოდების ქვრივთა და ობოლთა სამზრუნველოს ორი ათას მან. 2000 მ.

3. ქუთაისის სამოქალაქო საქველ-მოქმედო საზოგადოებას ქალაქის ღარიბთათვის ათას ხუთას მ. 1500 მან.

4. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთათვის სამი ათასს მ. 3000 მან.

5. თბილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოთ სამი ათას მ. 3000 მან.

6. იმერეთის ეპარქიალურ ჩემ სახელზე დაარსებულ საქალებო სასწავლებელს ხუთი ათას მ. 5000 მ.

7. ქუთაისის უფასო საქალებო სასწავლებელს ორი ათას მ. 2000 მ.

შენიშვნა. ყველა ზემოთ აღნიშნული ფულები სამუდამოთ უნდა ინახებოდენ ხელ-უხლებლათ სარგებლიანი ბილეთებით, ხოლო მათი სარგებელი იხმარონ თანახმათ ამა ანდერძისა.

8. გელათის მონასტერს ვუტოვებ ათას მანეთს, იმ პირობით, რომ ამ თანხის სარგებლით ყოველ წლობით – ჩემი სიკვდილის დღეს — ყველა ძმებმა მიწირონ მონასტრის ყველა ეკლესიებში, და ეს სარგებელი მიეცეს ყველა ძმებს.

9. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს ვუანდერძებ უფლებას ჩემ თხზულებათა გამოცემისას იმ პირობით, რომ გამოცემის მოგება ეძლეოდეს ამავე სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთ. ჩემ თხზულებათა პირველათ გამოსაცემათ რუსულ და ქართულ ენაზე ჩემი სურათით, მე ვუანდერძებ იმავე სასწავლებელს ორი ათას ხუთას მ. 2500 მან.

ვთხოვ ჩემი ანდერძის აღმასრულებელთ დაურიგონ ჩემ სიკვდილს შემდეგ, ჩემ მოსამსახურეებს სამასი მანეთი საჩუქრათ, ხვედრ ჯამაგირებს გარდა. ამას გარდა ჩემ სიკვდილს შემდეგაც დარჩებიან, როგორც ჩემ სახლში, ისე კერძოთ სხვა და სხვა სასწავლებლებში მოსწავლენი, რომელთაც მე ვაძლევდი შემწეობას; ვთხოვ ანდერძის აღმასრულებლებს, თუ შესაძლებელი იქნება და თანხაც დარჩეს, ყველა ზემოთ აღნიშნულ გასავალს შემდეგ, ამ მოსწავლეთ მიეცესთ ერთ-დროებითი შემწეობა. ჩემი ანდერძის აღმასრულებლათ ვნიშნავ ჩემ მოძღვარს, რომელიც მაშინ იქნება, და ჩემს ძმისწულებს მიხეილს და მოსეს ათანასეს ძეთა, ლეონტი სიმონის ძეს, სობოროს დეკანოზს და კანცელარიის მდივანს ერასტი სიმონის ძეს თუთბერიძეს.

1894 წელში ნოემბრის 19-სა დღესა ყოვლად სამღვდელომ თავისს პირველ ანდერძს შემდეგი დაუმატა:

1. თუ რაიმე მიზეზებისა გამო ბახვის სოფლის შკოლა დაიხურება, ზემო აღნიშნული თანხა გა-

დაეცეს ბახვის ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის ეკლესიას საკუთრებათ. ასევე უნდა მოექცენ იმ ექვსას მანეთს, რომელიც ჩემგან შეწირული აქვს ბახვის შემნახველ-გამსესხებელ კასას, თუ ეს უკანასკნელი გაუქმდეს.

2. ყოველივე ის, რაც ჩემგან ნაანდერძები აქვს თბილისის სასულიერო სემინარიას, დღეს მე ვუანდერძებ ახლა ხანს დაარსებულ ქუთაისის სასულიერო სემინარიას.

## მყინვარი და მთიელი *)

გაბრწყინდი, მეფევ მთისაო,
დარაჯო ჩვენი მხრისაო!
შენს მაღალ შუბლზე წერია
წარსული დრონი მთისაო.
შენ, მთაო, ბერო მოხუცო,
მდუმრათ რომ დაგვცქერ ძირსაო—
შენ გაგვინათლე, მთიელთა
სხივი მოგვფინე მზისაო!
განა არ გვახსოვს აღთქმანი
წარსული ჩვენი ქმისო?—
ახლაცა ტირის ჩვენი მთა
თავის დაკარგულ შვილსაო.
ქართველის გულის ძგერასა
შიში ვერ ჩაგრავს სხვისაო:
მტერთა ებძოდენ პირდა-პირ,
მამულს წირავდენ სულსაო.
მოხუც „ჯივაიც“ კერას პირს
ფანდურზე ამას მღერსაო:
მამა-პაპის ჩაგერასა
მე ვერ მოვეუთმენ მტერსაო;
ვერც არწივს გაუბედია:
აბა, რას ეუზამ ლომსაო?
მელია რასლა გაბედავს
— ლომის ლეკვთანა ომსაო.
მაინც კი ვიტყვი სათქმელსა
საწყალი ჩვენი მთისაო,
არცა ვინდომებ სირცხვილსა
დასამხობს ჩვენი მხრისას..,
არცა გადავალ აღთქმასა
დანადებს წინა-პართასა.
სხვის სამუდაროთ ვერ გავხდი
ჩემსა მშობელსა დედასა,
სისხლს დაღვრი სამშობლოსათვის,
კიდევ მივყვები დრო-ჟამსა.
მტერს მტრულათ გივუმკლავდები
და ძმურათ—კეთილ მყოფელსა.
ეს არის ჩემი არსება.
არ ხედავთ წუთისოფელსა?—
ტრიალებს, ზღვასავით ღელავს,
ვერ ხედავს კეთილ მყოფელსა,—
ასე უვლია ბნელაში
ამ ჩვენი წუთისოფელსა.
ვერ არჩევს ავსა და კარგსა,
ვერც მძიმე, მსუბუქ უღელსა.
ვინც ამპარტავნობს ღირსებით,
ის ვერ მიხვდება მცნებასა,
ვერც შემისრულებს ნებასა,—
ამასა ეჩივი „ჯივაი“.
ორ სიტყვას ვამბობ ჩემსასა,
მაინც არა ვგმობ სამშობლოს,
შემოქმედს ვფიცავ, ზეცასა:
სადაც ვშობილვარ, მოვხუცდი—
იქ სხვას არ მივცემ ნებასა;
ობლების წკრტიალს ვერ გავძლებ,
მტირალს ვერ ვნახავ დედასა.
რაც ერთხელ მითქვამს, მას ვამბობ,
არა მოვიშლით ჩვენსასა.

იაგორ. ღუდუშაური.

*) ამ ლექსს მოხევენი მღერიან.

## მეტი ღონე არ არი!

ეტიუდი.

(ვუძღვნი კნ. ანნა ბაგრატიონ–დავითიშვილს).

### I.

მაონავრებულ ზამთარს ბუნება არ დაუზოგია. კორიანტელ ქარ-ბუქს მოუცვავს არე-მარე, უქადის გაქრობას იმ ქმნილებათ, რომელნიც კი მოინდომებენ მასთან შებრძოლებას, შეკამათებას. ხალხი განრისხებულ სტიქიონს დამონებია, შეყუჟიან სახლებში, პატიმრებათ გარდაქცეულან და გულის ლევით ელიან, თუ როდის მოეღება ამ რისხვას ბოლო, რომ ცხოველ მყოფელ გაზაფხულს შესცინონ. ვარო კი სრულიად იმედ-დაკარგული, მომავალში ხედავს მარტო სისწყვდიადეს, ტანჯვას, არარაობას. ზაზანით მიჰქაქვია გაცივებულ ბუხარს, სადაკ ოდნავ ბჟუტავს თითქმის დაფერფლილი ნაკვერჩხალი. გაწითლებულ, გალურჯებულ ხელებს ურევს ნაცარში, მაინც არ ეძლევა მცირედი სითბო.

— ღმერთო, მაკმარე, ღვთაებავ, შემიმსუბუქე წამება!.. მომეც ღონე არსებობისა, ბედთან გაბრძოლებისა!.. სიტყვებთან ერთათ გადმოღვარა ქალმა კურცხალ-კურცხალი ცრემლები, წამოდგა ზეზე და გარარა.

— განა არის ამისთანა გარემოებაში კიდევ ვინმე?!. წარმოთქვა მან და შეჩერდა.

— არა, არა. მარტო ვაროა დატოვებული, გაგდებული, მოძულებული, უვარგისი და მეტი!.. ქალი კვლავ შედგა, თვალი მიმოავლო გარემოს. ოთახი მოზდილი იყო. სარკმლებიდან შემოქიქინებდა ქარი. პაწია ლამპარს დაეჭირა სანათის ადგილი, ოდნავ ბჟუტავდა, თუთქო ამბობდა: შენ ამაზე მეტის ღირსი არა ხარო.

რამდენი ხანია, რაც ვარო ასეთ ცხოვრებაშია?..—მას აქეთ, რაც დედ-მამა დაეხოცა, მას აქეთ, რაც ბიძა-ძალუას ოჯახში გადმოსახლდა. ოხ, რა ძნელი ყოფილა სხვის ანაბარათ, სამადლოთ ყოფნა!.. მერე ვინ იცის, რომ ვარო ასეთი გაჭირვებულია? რასაკვირველია, არავინ. სწორედ ამისთვისაც ითმენს, ზიდავს მძიმე ტვირთს თავის ხვედრისას... დღეის იქით ხომ უფრო უარესი იქმნება! ბიძა რამაზმა ერთი კვირის წინეთ გამოუცხადა, ან უეჭველათ შეირთოს პავლე ბრძენაშვილი, სამოც-და-ათი წლის მოხუცი, ან გავიდეს აქედან, როგორც სურდეს, ისე იცხოვროს. ხვალ, ზეგ გადაწყვეტილი პასუხი უნდა მისცეს. ვაროს კი არ შეუძლია იმ ბერს წაყვეს. შერთვა იმ არსებისა, რომელიც არავითარ გრძნობას არ გიღვიძებს, გარდა სიძულვილისას—საშინელებაა... ყმაწვილი კაცებიც თხოულობდენ ვაროს, მაგრამ სამწუხაროთ გული გაუქვავდა. ყველა პატივსა სცემდა იმ დრომდე, ვიდრე შეამჩნევდა თავისადმი ტრფიალებას. მერე კი პატივისცემა გარდექცეოდა ხოლმე მათდამი ზიზღათ. ვარო ვერ მორიგებოდა იმ აზრს, რომ ერთათ ერთი საშველი ამ გარემოებიდან განთავისუფლებისა იყო გათხოვება... კიდევ მომეტებული შეცოდება?.. არას დროს!. გაიძახოდა დაჟინებით ვარო. წინადიდება კი ზარსავით ყურში ურაწკუნებდა:

— ან ერთი, ან მეორეო!.. რომელი აერჩია?.. სად წასულიყო? ამ დროს ქარმა დაუბერა, ბუხარში ჩამოყარა თოვლი. განგებ შეავიწროვეს, სული შეუხუთეს, სანათი დაუძვირეს, ცეცხლს დაანატრეს, რომ როგორმე თავიდან მოეცილოთო. პავლე ბრძენაშვილი სამსახურში დაწინაურებული გენერალია. შეძლება კარგი აქვს. ვარო დაიბრუნებს წინანდელ უზრუნველ დღეებს. სიმდიდრე, ნადიმები, ბალ-მასკარადები, მრავალი სასიამოვნო, გამონაცადი ნანახი შემთხვევა ერთი მეორეს მოჰყვება. რა ენაღვლება ვაროს!.. დეე, ბებერი იყოს, მაშინ მაგიერის გადახდასაც შეიძლებს. ერთი ორათ მიუზღავს იმათ, ვინც კი შეავიწროვა, სული შეუხუთა, დაუტანჯა ცხოვრების ყოველი წამი, საათი. მერე ცხოვრება ბრძენაშვილთან?.. არა!.. ქალს გააჟრჟოლა, მოწყვეტილსავით დაეშვა ბუხრის წინ.

— არ შეიძლება!.. ვარო არ იკისრებს ამ სისაძაგლეს პატიოსანი, კეთილ-სინიდისიერი გული, რომლისთვისაც დამახინჯებულ აღზრდას თუმცა თავისი ელფერი მიუყენებია, მაინც სუსტათ, საკმაოთ გასაგონათ ძგერს, აცხადებს უთანხმოებას... ვარო მზათ არის ბიძის ოთახის კარი შეაღოს, დაუძახოს:

— მშვიდობით, ძიავ, მივდივარ თქვენი ოჯახიდან სამუდამოთ, პავლეს შერთვა კი არ შემიძლიაო.. რა სიხარულით გაიქცევა ვარო ამ წყეული სოფლიდან, ამ საშინელი მტარვალი სახლიდან, თუ რომ ღონისძიება ჰქონდეს ცხოვრებისა! მასწავლებლობა არ შეუძლია, თუმცა შვიდი კლასი დაუსრულებია, კიდევაც დავიწყებია, რაც უსწავლია. მერე ღონეც არ შესწევს, ხელი მოჰკიდოს იმ მძიმე მოვალეობას. შეძლებაც არა აქვს. ნათესავები ტუჩს უბზუებენ. ან კი რას მოელიან ღარიბ, ობოლ ქალისაგან, თუ არ მეტ ბარგსა, მუქთა მჭამელს?.. ხელსაქმეც ისეთი არ უსწავლებიათ, რომ მით მაინც დარჩეს... განა არ შეიძლება შეისწავლოს! რატომ.

რამდენიმე კვირით მივა ერთ-ერთ მკერვალ

ქალთან. ვაროს გულისყური კარგი აქვს, ყველაფერში გაიწაფება.., შემდეგ თვითონაც იწყებს დამოუკიდებელ შრომას. აი, ეს ერთათ ერთი ადვილათ შესაძლოა... მაგრამ ვაროს გონებას ეხვევა სხვა და სხვა დამამცირებელი წარმოდგენა: კნიაჟნა ვარო, რომელიც ხალხში პატივისცემას, თითქმის მოწიწებას, ბრძანებლობას ჩვეულია, შეიძლებს მკერვალი ქალის მოვალეობის შესრულებას? იწიალოს კარდაკარ, ბევრისაგან მოისმინოს კიცხვა, დაცინვა, გამოიწვიოს ათასი მითქმა-მოთქმა! თვითონ ვაროსაც ბევრჯელ უგრძვნია სიამაყე, ამპარტავნება, თვისი უპირატესობა იმ გარემოებაში მყოფ ქალისადმი!.. ყურადღება არც კი მიუქცევია, როცა მოსულა კაბის ზომის ასაღებათ. ერთხელ ხანში შესული დაავადებული ქალი უყურადღებოთ ჩაიგდეს ეტლში, წინ სკამეიკაზე, ამანა და დედა თაფლომ. ხანდისხან დამცინავათ გადაავლებდენ ესენი თვალებს სილარიბის საბრალო მსხვერპლს. ვინ იცის, იქნება, იმ საცოდავსაც სწორეთ ამ გვარ გარემოების წყალობით ეკისრნა ის დამამცირებელი ხელობა?.. ვარო დაცინოდა ოდესღაც, დღეს კი თვითონვე გამხდარიყო გასაკიცხი... როგორ აიტანოს ვარომ, როგორ მოითმინოს, როცა შემოვლენ ყოველიფრათ მასზე უარესი კნიაჟნები, თუ ქალბატონები და ამაყათ ეტყვიან.

— აბა, აილე ზომა, ეგება, იანვრის ექვსისათვის მოგვისწრო? რასაკვირველია, არაფრათ ჩააგდებენ მას. რა იციან, რომ ელაპარაკებიან თავიანთ თანასწორ არსებას, კიდევაც დავიწყებიათ, რომ ესეც მათსავით უზრუნველათ დაფრიალებდა ხალხში... დღეს კი გარდაქცეულა მოახლეთ, რომელსაც უბძანებენ... აი, ვარომ იგრძნო შეუძლებლობა, მეტი ღონე არა აქვს, უნდა თვითონვე წავიდეს წამლის მოსატანათ აფთიაქში. გაფითრებული ძლივს ადგამს ნაბიჯს... როდესაც მეაფთიაქე დაინახავს ამის ღარიბ ჩაცმულობას, დაუდევ ათ აავლ-ჩაავლებს თვალს, თუ დროიანათ, ან მოხერხებით კარი არ მიხურა. იქნება კიდევაც შეუტიოს, ოთახში სიცივე ნუ შემოგაქვსო. ვარო გაწითლდება ცალკე სირცხვილისა, ცალკე ასე უჩვეულო შეურაცხყოფობისაგან. თვალში ცრემლები მოსდის, მაგრამ თავს ძალას ატანს, არ შეიმჩნიოს. მეაფთიაქემ გაშალა რეცეპტი, წაიკითხა: კნიაჟნა ვარო თამაზიშვილს. ეტყობა თამაზიშვილი გაუგონია მეაფთიაქეს, ნანობს წინანდელ ბრიყვსაქციელზე. პატივისცემით, მოწიწებით ეპყრობა, კარებამდის მოაცილებს, თხოვს:

— კნიაჟნა, დიდათ დამავალებთ, რომ თქვენ თვითონ აღარ გაისარჯოთ, გამოგზავნეთ ბიჭი, რომლის ხელითაც მაშინვე მოგართმევთ. რამ მოახდინა ასეთი ცვლილება?.. მარტო ორიოდე სიტყვის ამოკითხვამ: კნიაჟნა თამაზიშვილს. მაგრამ შემდეგში, როცა გაიგებს, რომ ეს კნიაჟნა თითქმის გოგოთა ჰყავს დაქირავებული უცხოეთიდან გადმოხვეწილს, იქნება გარყვნილათაც შერიცხულ დედაკაცს, მაშინ ამ წოდების პატივისცემას მნიშვნელობა ეკარგება და ვარო შეიქმნება ათას დამცირებათა მსხვერპლათ. ეს შეხვდა თავის წინანდელ მეგობრებს, ნაცნობებს, მათ კი თითქო ვერ დაინახეს, თავი მიიღეს გვერდზე, ისე ჩამოუარეს. ზოგმაც დაუწყო შეკრული შუბლით ყურება, თითქო ეუბნებოდა უსიტყვოთ: ნეტავი გაბედო და გაგვეხმაურო? რისათვის იცოცხლოს ვარომ? რა აზრი, რა მიზანი ამოირჩიოს? თუ რომ მოხერხდებოდეს, ვარომ არ მიმართოს ვისმე სასწავლებლათ, ცოტაც არის შეძლება ჰქონდეს დაიქირავოს სახლი, დაიჭიროს მუშა ქალები საკერავათ, თვითონ მათი ზედამხედველი იყოს, მაშინ აღარ დამცირდება ისე ვარო. მაგრამ სად არის ან ფული, ან ის ცოდნა, მოხერხება?.. არა, აქედანაც მცირედი საშველი ჩანს... მაშ ისევ მასწავლებლობა? აქაც მკერვალ ქალებსავით წამება. შევიდეს ვისიმე სახლში გოგოთ? მეტადრე თუ შეგირდები უნიჭო, რეგვენი გამოდგენ, აღარ ვაგიკითხავენ, ბავშის ყოველ უმართებულო საქციელს, ნაყოფს ქიანობისა და ნებივრობისას შენ მოგაწერენ... კარგა ახსოვს ვაროს დედ-მამამ რომ დაუჭირა მასწავლებელი ქალი, ვარო არ უგონებდა, შეუბრალებლათ, უგრძნობლათ მწარე მდუღარე ცრემლებს აღვრევიებდა საცოდავ ქალს. ეს კი დასცინოდა, ნიშნს უგებდა. მარტო ახლა ეყურება, მწვავათ გულში ხვდება იმ ცრემლების მნიშვნელობის სიმწარე. რა უსაგნოთ, რა უმნიშვნელოთ გაუტარებია ვაროს ოცდა რვა წელიწადი!.. ახლა გრძნობს, მაგრამ რაღას მოეწევა!.. წინანდელი მიდრეკილება, სურვილი, აზრი ძვალსა და რბილში გაჯდომია, გაკაჟებულა მშობელთა და გარემოების წყალობით. რითი შეასუსტოს, შეათბოს ეს საშინელი გარემოება, რომელიც მიუყენებია უწყალო განგებას?.. ვაროს მომეტებული უკმაყოფილება დაეტყო, იგრძნო საყვედური მშობლებისადმი.

— ოხ, ნეტავი უკანასკნელი გლეხის შვილათ დავბადებულვიყავი და არა კნიაჟნა ვარო თამაზაშვილათ. მაშინ შემეძლებოდა შრომა, არავითარი გარემოება არ შემაფერხებდა.

— ნუ თუ მაშ კნიაჟნობაა დამნაშავე ასეთ უვარგისობაში?.. წარმოთქვა ქალმა.

— არა, სხვა... სხვა რამ... ვარო შეერია ფიქრებში, რომ მიმხვდარიყო ნამდვილ მიზეზებს, გამოეძებნა კიდევ ახალი საშველი, ღონე.

ანასტ. ერისთავი.

(შემდეგი იქნება).

## გურიის ამხანაგობის „შუამავლის“—გამო.

ყოველვე საკითხს და საგანს ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებისას, ჩემი აზრით, თვით ცხოვრების მიმდინარეობა აყენებს წინ. მე მგონია, ვერ ნახავთ ჩვენს ქვეყანაში, ვერც სხვაგან, რომ ყოველივე საზოგადო და სასარგებლო დაწესებულება, რომელსაც პროგრესიული სარჩული აქვს, ცხოვრების მიხედვით არ იყოს გამოწვეული და დაარსებული. ამაზე მეტი ლაპარაკი დროს დაკარგვა იქნება.

აგერ რამდენიმე წელიწადი გადის მას შემდეთ, რაც ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხიდან ერთისა და იმავე შინაარსის წერილები იბეჭდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში და ყოველი მხრიდან ჩივიან და გოდებენ: ჩვენს ნაწარმოებს ფასი აღარა აქვს, ნაქურჩალის ფასათ იგდებენ ხელში ჩარჩები, გაღარიბდა და გაღატაკდა ხალხი და, მიუხედავათ ამისა, ცხოვრების მოთხოვნილება ათას ჯერ მეტი შეიქმნა, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ იყო; მოემატა ერთი ორათ და სამათაც სახელმწიფო გარდასახადი, აუცილებელ საჭიროებათ გარდაიქცა სწავლა, განათლება და ყველა ამების დასაკმაყოფილებლათ გახდა ფული, ფული და ფულიო...

გესმის ეს გულის შემზარავი სიტყვები და გიწუხს სული და გული, მაგრამ ათასჯერ უარესათ შეწუხდები და აღშფოთდები, როცა ამას თქვენი თვალით ხედავთ.

ზემო ნათქვამის დასამტკიცებელი ფაქტები შეუძლია კაცმა ნახოს სხვათა შორის ჩვენს წიგნის მაღაზიაშიაც კი. ყოველ დღეობით შემოდიან ამ ქარყინვაში ორმოცი წლის, წელში მოხრილი კაცი და ქალი, რომელთაც თან წამოუყვანიათ სასწავლებლიდან წიგნის უქონლობისა გამო დათხოვნილი მოწაფე, ფეხშიშველი, სიცივისაგან გაშეშებული და აკანკალებული. წიგნი ღირს 30 კაპ., ამის ფული კი არა აქვს, მისამატებლათ წამოუღია ზოგს კვერცხი, ზოგს ჯანჯუხა (ჩურჩხელა) და ზოგიც შემდეგი შემსაზარავი სიტყვით მოგმართავთ: შეხედე შენს ღმერთს! „უჩიტელმა“ კლასიდან გამომიგდო წიგნის უქონლობის გამოვო. და სხვ... ეჰ! თქვენი თვალით უნდა ნახოთ, რომ შენს გულში და სულში ჩაწვდეს მისი სულის კვეთება და დაგაწყევლინოს უბედური ადამიანის ცხოვრება!

წიგნის მაღაზიიდან თქვენ უნდა წახვიდეთ მომრიგებელ-მოსამართლის კამერაში, სადაც თქვენი თვალითვე ნახავთ ხასან-ალა-ეფენდოღლებს და მის გვარ მოვახშეებს, რომლებსაც ოცობით და ორმოცობით აღმასრულებელი ფურცელი (Исполнительный листъ) გამოაქვთ ჩვენი ისედაც დასაწყლებული და გაღატაკებული მკვიდრის სარჩო-საბადებელის ასაწერათ. თქვენ ნახავთ ჩვენი ხალხის ხვეწნა-მუდარას მემედისანა მევახშეებთან: მაპატიე „ნევსტოიკა“, მამუშავე და შემაძლებიე ვალის გადახდაო.—აქავე ნახავთ, რომ საწყალი, ვალში ჩავარდნილი მუშა, რომელსაც ნამუშევარის მოსავლის იმედით აუღია ვალი, მოუსავლობით ვალში ჩავარდნილა და ახლა პროცენტით ეკვრება მევახშეს, სამუდამოთ მისი მონადღეყმა ჰხდება! გამოტეხილი უნდა მოგახსენოთ, რომ მე არ ძალმიძს ყველა ის უბედურება დაგიხატოთ, რაც სოფლათ ხდება, მხოლოთ იმედი მაქვს შეგნებული მკითხველი მაინც მიხვდება, რომ ჩემმიერ დასახელებული ფაქტი, მხოლოთ ერთი მეასედია ამ სამწუხარო ამბებისა. აი, სწორეთ ამ გარემოებამ გამოიწვია გურიიდანაც, ოთხი-ხუთი წელიწადია, წერა, ხოლო ამ უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო მეტათ. ყველა წერილში და ყველა სოფლებიდან თითქმის ერთი შინაარსის წერილები იბეჭდებოდა: „საჭიროა შედგეს მუშათა და ღარიბ მწარმოებელთა დამხმარებელი ამხანაგობაო“ და სხვ... ეს ჩივილი წარსულ წლამდის უყურადღებოთ დარჩა, თუმცა კი მის დაარსებას წინათაც საჭიროთ თვლიდენ. წარსულ წელს, როცა ჩოჩხათიდან მოწერილ ამბებში ისეთ დასაფიქრებელს და დასაღონებელ ამბავს იწერებოდა პატივცემული ადგილობრივი მეთვალყურე, (იხ. ივერია 1895 წ. № 61), მოთმენა და უყურადღებოთ დატოვება შეუძლებელათ მიიჩნია აქაურმა შეგნებულმა, განვითარებულმა ნაწილმა საზოგადოებისამ და კაც-მოყვარე ადამიანებიც შეუდგენ დიდი ხნის სურვილის განხორციელებას. გამართეს კრებები, სჯა, თუ რა გვარი და ტიპის ამხანაგობა არის საჭირო ჩვენი ქვეყნის ეკონომიურათ წარმატებისათვის. ბევრ სჯასა და ბაასს შემდეგ უმრავლესობამ საჭიროთ დაინახა შეედგინა იმ გვარი პროექტი აწინდელი დასაარსებელი ამხანაგობის „შუამავლისა“, რომელიც უკვე დამტკიცებულია და რომლის უმთავრეს მუხლს აქავე მოვიყვან, თუ რა მიზანი ჰქონდა ამხანაგობას სახეში, როცა მის დაარსებას შეუდგა:

§ 1. ამხანაგობის მიზანია: ა) მოუპოვოს მხმარებელს ყოველ გვარი ცხოვრებისათვის საჭირო ნივთი საუკეთესო ღირსებისა და შედარებით იაფ ფასათ; ბ) აიღოს კომისიით, როგორც გასასყიდათ ისე სასყიდელათ სხვა-და-სხვა გვარი ნაყოფი ადგილობრივი ნაწარმოებისა და მოუპოვოს მათ გასასაღებელი ბაზარი, სადაც უნდა იყოს, რისთვისაც ამხანაგობა დაარსებს მაღაზიებს, საწყობებს, ბეღლებს და სხვას;

გ) აილოს საიჯაროთ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათაგან და კერძო პირთაგან სხვა-და-სხვა გვარი გასაკეთებელი საქმეები, როგორც მაგ. შენობის აგება, გზები და ხიდების გაკეთება და სხვა. დ) შეიძინოს ამხანაგობის სახელზე უძრავ-მოძრავი ქონება და გაყიდოს იგი.

§ 2.—შენიშვნა 1) პაის ფულის შემოტანის ვადა შეიძლება განაწილდეს ამ გვარათ: ამხანაგობაში შესვლისათანავე შეიტანება კასაში ხუთი მანეთი, ხოლო დანარჩენი თუთხმეტი მანეთი შეიტანება სხვა-და-სხვა დროს ექვსი თვის განმავლობაში დღიდან ამხანაგობაში ჩაწერისა.

§ 25. ყოველწლიური მოგება ამხანაგობის ყველა წარმოებისაგან იყოფა შემდეგი სახით: 20% გადაიდება სათადარიგო თანხათ, რომლის დახარჯვა შეიძლება მხოლოთ უკიდურეს შემთხვევაში საერთო კრების თანხმობით, 15% მიემატება ძირითად თანხას, 35% განაწილდება წევრთა შორის, იმის-დაგვარათ, ვისაც რამდენი პაი აქვს, ხოლო დანარჩენი 30% კი გადაიდება საზოგადო საქველ-მოქმედო საქმეებისათვის.

გ. თავართქილაძე.

(შემდეგი იქნება)

## ქ-ნო რედაქტორო!

ერთათ ერთი ყოველ დღიური ქართული გაზეთის „ივერიის“ რედაქტორის გამოლაშქრებამ მე სრულიად უიარაღოთ დამტოვა. მასმენენ და მაბეზღებენ ქართველ საზოგადოებას, მე კი საშუალებაც არა მაქვს ვიმართლო თავი. რადგანაც მე კარგათ ვიცნობ ჩემ მოპირდაპირეს და არავითარ რაინდულ ქცევას მისგან არ ველი და არცა მაქვს საფუძველი ველოდე, რადგანაც, ერთი სიტყვით, ამ წერილის „ივერიაში“ გამოქვეყნება შეუძლებელია, უმორჩილესათ გთხოვთ მისცეთ მას ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში *)

ილია ხოხნელი.

## ღია წერილი

ბ. ილია ჭავჭავაძისადმი.

მოწყალეო ხელმწიფევ!

„ივერიის მე-29 და 32 ნომრებში თქვენ დასტამბეთ რამდენიმე წერილი, რომელშიაც უშვერი სიტყვებით, თქვენი აგრეთ დამასურათებელი ლანძღვა-გინებით მომიხსენიეთ მე და ჩემი ფელიტონი „კავკაზ“-ში ახლათ განსვენებული გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ. ჩემი სიტყვები, რომ ყოველ ღირსებებთან ერთათ „უუგანათლებულეს და უუნიჭიერეს არქიელს“ თან ახლდა ცოტა რამ ნაკლულევანებაც, რომ იგი, როგორც ფიცხი და მკაცრი ხასიათის პატრონი, მოკლებული იყო ნამდვილი ადმინისტრატიული პირის თვისებას, თქვენ განმარტეთ ისე, რომ თითქო მე მისი დამცირება, შებღალვა, მისი შეურაცხება მდომოდეს და თან ისიც დაუმატეთ, რომ ჩემი ამგვარი საქციელი აიხსნება პირადი მტრობით, უგვანი სურვილით დავამეზღო ქართველი საზოგადოება რუსის მართებლობის წინაშე (?!). მე, რასაკვირველია, სამარცხვინოთ მიმაჩნია ვიმართლო თავი ამ ცილის წამებისაგან. თქვენც და მეც ძალიან კარგათ ვუწყით, რა კოკიდან მომდინარეობს ეს მტკნარი სიცრუვე; თქვენც და მეც საკმაოთ მიმხვდარი ვართ, თუ რა მიზეზებისა გამო ტელეგრამის შემთხზველს, კახეთისა და ქართლის ერთი მეორეზე წამქეზებელს, „მოსულთა“ დევნის ზღაპრის მომგონს, „დივიდენდისათვის“ თავდადებულს და ყველა მის მოპირდაპირეთა მლანძღველს დაჭირდა ეს ახალი ფანდი, ეს ახალი ცილის-წამება. ამგვარი საქციელი თქვენგან „არ ახალია, ძველია!“ უაზრო სიტყვების წამოსროლა, გაფანატიკოსებული წასევა და წაქეზება, ეს ხომ თქვენი იარაღია, რომლის ხმარებაში არა გყოლიათ, არა გყავთ და არც გეყოლებათ ბადალი.. მაგრამ მე მაინც ვფიქრობდი, რომ არის რაიმე საზღვარი თქვენი კადნიერებისათვის! მე მეგონა, რომ იგი კუბო, რომელიც ასვენია ამ ჟამათ ქუთაისის საკათედრო სობოროში, იმ კაცის

*) ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ლანძღვა-გინებაზე აგებული კამათობა ლიტერატურისა და საზოგადოების დამცირებაა. მხოლოთ იმიტომ ვაძლევთ ადგილს ბ. ილ. ხოხნელის წერილს, რადგან მას ქართველი საზოგადოების წინაშე თავის გასამართლებლათ სხვა საშუალება არა აქვს.

რედ.

## გურიის ამხანაგობის „შუამავლის“—გამო.

ყოველივე საკითხს და საგანს ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებისას, ჩემი აზრით, თვით ცხოვრების მიმდინარეობა აყენებს წინ. მე მგონია, ვერ ნახავთ ჩვენს ქვეყანაში, ვერც სხვაგან, რომ ყოველივე საზოგადო და სასარგებლო დაწესებულება, რომელსაც პროგრესიული სარჩული აქვს, ცხოვრების მიხედვით არ იყოს გამოწვეული და დაარსებული. ამაზე მეტი ლაპარაკი დროს დაკარგვა იქნება.

აგერ რამდენიმე წელიწადი გადის მას მერმეთ, რაც ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხიდან ერთისა და იმავე შინაარსის წერილები იბეჭდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში და ყოველი მხრიდან ჩივიან და გოდებენ: ჩვენს ნაწარმოებს ფასი აღარა აქვს, ნაქურჩალის ფასათ იგდებენ ხელში ჩარჩები, გაღარიბდა და გაღატაკდა ხალხი და, მიუხედავათ ამისა, ცხოვრების მოთხოვნილება ათას ჯერ მეტი შეიქმნა, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ იყო; მოემატა ერთი ორათ და სამათაც სახელმწიფო გარდასახადი, აუცილებელ საჭიროებათ გარდაიქცა სწავლა, განათლება და ყველა ამაების დასაკმაყოფილებლათ გახდა ფული, ფული და ფულიო...

გესმის ეს გულის შემზარავი სიტყვები და გიწუხს სული და გული, მაგრამ ათასჯერ უარესათ შეწუხდები და აღშფოთდები, როცა ამას თქვენი თვალით ხედავთ.

ზემო ნათქვამის დასამტკიცებელი ფაქტები შეუძლია კაცმა ნახოს სხვათა შორის ჩვენს წიგნის მაღაზიაშიაც კი. ყოველ დღეობით შემოდიან ამ ქარყინვაში ორმოცი წლის, წელში მოხრილი კაცი და ქალი, რომელთაც თან წამოუყვანიათ სასწავლებლიდან წიგნის უქონლობისა გამო დათხოვნილი მოწაფე, ფეხშიშველი, სიცივისაგან გაშეშებული და აკანკალებული. წიგნი ღირს 30 კაპ., ამის ფული კი არა აქვს, მისამატებლათ წამოუღია ზოგს კვერცხი, ზოგს ჯანჯუხა (ჩურჩხელა) და ზოგიც შემდეგი შემსაზარავი სიტყვით მოგმართავთ: შეხედე შენს ღმერთს! „უჩიტელმა“ კლასიდან გამომიგდო წიგნის უქონლობის გამოვო. და სხვ... ეჰ! თქვენი თვალით უნდა ნახოთ, რომ შენს გულში და სულში ჩაწვდეს მისი სულის კვეთება და დაგაწყევლიოს უბედური ადამიანის ცხოვრება!

წიგნის მაღაზიიდან თქვენ უნდა წახვიდეთ მომრიგებელ-მოსამართლის კამერაში, სადაც თქვენი თვალითვე ნახავთ ხასან-აღა-ეფენდოღლებს და მის გვარ მოვახშეებს, რომლებსაც ოცობით და ორმოცობით აღმასრულებელი ფურცელი (Исполнительный листъ) გამოაქვთ ჩვენი ისედაც დასაწყლებული და გაღატაკებული მკვიდრის სარჩო-საბადებლის ასაწერათ. თქვენ ნახავთ ჩვენი ხალხის ხვეწნა-მუდარას მემედისანა მევახშეებთან: მაპატივე „ნევსტოიკა“, მამუშავე და შემაძლებიე ვალის გადახდაო.—აქავე ნახავთ, რომ საწყალი, ვალში ჩავარდნილი მუშა, რომელსაც ნამუშევარის მოსავლის იმედით აუღია ვალი, მოუსავლობით ვალში ჩავარდნილა და ახლა პრობით ეკვრება მევახშეს, სამუდამოთ მისი მონადღე ყმა ჰხდება! გამოტეხილი უნდა მოგახსენოთ, რომ მე არ ძალმიძს ყველა ის უბედურება დაგიხატოთ, რაც სოფლათ ხდება, მხოლოთ იმედი მაქვს შეგნებული მკითხველი მაინც მიხდება, რომ ჩემმიერ დასახელებული ფაქტი, მხოლოთ ერთი მეასედია ამ სამწუხარო ამბებისა. აი, სწორეთ ამ გარემოებამ გამოიწვია გურიიდანაც, ოთხი-ხუთი წელიწადია, წერა, ხოლო ამ უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო მეტათ. ყველა წერილში და ყველა სოფლებიდან თითქმის ერთი შინაარსის წერილები იბეჭდებოდა: „საჭიროა შედგეს მუშათა და ღარიბ მწარმოებელთა დამხმარებელი ამხანაგობაო“ და სხვ... ეს ჩივილი წარსულ წლამდის უყურადღებოთ დარჩა, თუმცა კი მის დაარსებას წინათაც საჭიროთ თვლიდენ. წარსულ წელს, როცა ჩოჩხათიდან მოწერილ ამბებში ისეთ დასაფიქრებელს და დასაღონებელ ამბავს იწერებოდა პატივცემული ადგილობრივი მეთვალყურე, (იხ. ივერია 1895 წ. № 61), მოთმენა და უყურადღებოთ დატოვება შეუძლებელათ მიიჩნია აქაურმა შეგნებულმა, განვითარებულმა ნაწილმა საზოგადოებისამ და კაც-მოყვარე ადამიანებიც შეუდგენ დიდი ხნის სურვილის განხორციელებას. გამართეს კრებები, სჯა, თუ რა გვარი და ტიპის ამხანაგობა არის საჭირო ჩვენი ქვეყნის ეკონომიურათ წარმატებისათვის. ბევრ სჯასა და ბაასს შემდეგ უმრავლესობამ საჭიროთ დაინახა შეედგინა იმ გვარი პროექტი აწინდელი დასაარსებელი ამხანაგობის „შუამავლისა“, რომელიც უკვე დაისტამბა და რომლის უმთავრეს მუხლს აქავე მოვიყვან, თუ რა მიზანი ჰქონდა ამხანაგობას სახეში, როცა მის დაარსებას შეუდგა:

§ 1. ამხანაგობის მიზანია: ა) მოუპოვოს მხმარებელს ყოველ გვარი ცხოვრებისათვის საჭირო ნივთი საუკეთესო ღირსებისა და შედარებით იაფ ფასათ; ბ) აიღოს კომისიით, როგორც გასასყიდათ ისე სასყიდელათ სხვა-და-სხვა გვარი ნაყოფი ადგილობრივი ნაწარმოებისა და მოუპოვოს მათ გასასაღებელი ბაზარი, სადაც უნდა იყოს, რისთვისაც ამხანაგობა დაარსებს მაღაზიებს, საწყობებს, ბელლებს და სხვას;

გ) აიღოს საიჯაროთ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათაგან და კერძო პირთაგან სხვა-და-სხვა გვარი გასაკეთებელი საქმეები, როგორც მაგ. შენობის აგება, გზები და ხიდების გაკეთება და სხვა: დ) შეიძინოს ამხანაგობის სახელზე უძრავ-მოძრავი ქონება და გაყიდოს იგი.

§ 2.—შენიშვნა 1) პაის ფულის შემოტანის ვადა შეიძლება განაწილდეს ამ გვარათ: ამხანაგობაში შესვლისათანავე შეიტანება კასაში ხუთი მანეთი, ხოლო დანარჩენი თუთხმეტი მანეთი შეიტანება სხვა-და-სხვა დროს ექვსი თვის განმავლობაში დღიდან ამხანაგობაში ჩაწერისა.

§ 25. ყოველწლიური მოგება ამხანაგობის ყველა წარმოებისაგან იყოფა შემდეგი სახით: 20% გადაიდება სათადარიგო თანხათ, რომლის დახარჯვა შეიძლება მხოლოთ უკიდურეს შემთხვევაში საერთო კრების თანხმობით, 15% მიემატება ძირითად თანხას, 35% განაწილდება წევრთა შორის, იმის-დაგვარათ, ვისაც რამდენი პაი აქვს, ხოლო დანარჩენი 30% კი გადაიდება საზოგადო საქველ-მოქმედო საქმეებისათვის.

გ. თავართქილაძე.

(შემდეგი იქნება)

## ქ-ნო რედაქტორო!

ერთათ ერთი ყოველ დღიური ქართული გაზეთის „ივერიის“ რედაქტორის გამოლაშქრებამ მე სრულიად უიარაღოთ დამტოვა. მასმენენ და მაბეზღებენ ქართველ საზოგადოებას, მე კი საშუალებაც არა მაქვს ვიმართლო თავი. რადგანაც მე კარგათ ვიცნობ ჩემ მოპირდაპირეს და არავითარ რაინდულ ქცევას მისგან არ ველი და არცა მაქვს საფუძველი ველოდე, რადგანაც, ერთი სიტყვით, ამ წერილის „ივერიაში“ გამოქვეყნება შეუძლებელია, უმორჩილესათ გთხოვთ მისცეთ მას ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში *)

ილია ხონელი.

## ღია წერილი

ბ. ილია ჭავჭავაძისადმი.

მოწყალეო ხელმწიფევ!

„ივერიის მე-29 და 32 ნომრებში თქვენ დასტამბეთ რამდენიმე წერილი, რომელშიაც უშვერი სიტყვებით, თქვენი აგრეთ დამასურათებელი ლანძღვა-გინებით მომიხსენიეთ მე და ჩემი ფელიტონი „კავკაზ“-ში ახლათ განსვენებული გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ. ჩემი სიტყვები, რომ ყოველ ღირსებებთან ერთათ „უუგანათლებულეს და უუნიჭიერეს არქიელს“ თან ახლდა ცოტა რამ ნაკლულევანებაც, რომ იგი, როგორც ფიცხი და მკაცრი ხასიათის პატრონი, მოკლებული იყო ნამდვილი ადმინისტრატიული პირის თვისებას, თქვენ განმარტეთ ისე, რომ თითქო მე მისი დამცირება, შებღალვა, მისი შეურაცხება მდომოდეს და თან ისიც დაუმატეთ, რომ ჩემი ამგვარი საქციელი აიხსნება პირადი მტრობით, უგვანი სურვილით დავსმეზღო ქართველი საზოგადოება რუსის მართებლობის წინაშე (?!). მე, რასაკვირველია, სამარცხვინოთ მიმაჩნია ვიმართლო თავი ამ ცილის წამებისაგან. თქვენც და მეც ძალიან კარგათ ვუწყით, რა კოკიდან მომდინარეობს ეს მტკნარი სიცრუევე; თქვენც და მეც საკმაოთ მიმხვდარი ვართ, თუ რა მიზეზებისა გამო ტელეგრამის შემთხზველს, კახეთისა და ქართლის ერთი მეორეზე წამქეზებელს, „მოსულთა“ დევნის ზღაპრის მომგონს, „დიდიდენდისათვის“ თავდადებულს და ყველა მის მოპირდაპირეთა მლანძღველს დაჭირდა ეს ახალი ფანდი, ეს ახალი ცილის-წამება. ამგვარი საქციელი თქვენგან „არ ახალია, ძველია!“ უაზრო სიტყვების წამოსროლა, გაფანატიკოსებული წასევა და წაქეზება, ეს ხომ თქვენი იარაღია, რომლის ხმარებაში არა გყოლიათ, არა გყავთ და არც გეყოლებათ ბადალი.. მაგრამ მე მაინც ვფიქრობდი, რომ არის რაიმე საზღვარი თქვენი კადნიერებისათვის! მე მეგონა, რომ იგი კუბო, რომელიც ასვენია ამ ჟამათ ქუთაისის საკათედრო სობოროში, იმ კაცის

*) ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ლანძღვა-გინებაზე აგებული კამათობა ლიტერატურისა და საზოგადოების დამცირებაა. მხოლოთ ამიტომ ვაძლევთ ადგილს ბ. ილ. ხონელის წერილს, რადგან მას ქართველი საზოგადოების წინაშე თავის გასამართლებლათ სხვა საშუალება არა აქვს.

რედ.

სახელი, რომელიც იმ კუთხეშია, იმ საზოგადო მოღვაწის პატივი, რომელიც ღრმათ ჩანერგულია ჩვენს და მრავალთა გულში,—მე მეგონა, რომ ეს წმიდა-წმიდათა ალაგმაედა თქვენს თავგასულობას, არ მოგცემდათ ნებას გამოგეყენებიათ იგი ფარათ და ხმლათ წვრილმანი ანგარიშების გასაწმენდათ. თურმე შემცდარვარ!.. თავ-გასულ შურისძიებას არ ჩვევია არავითარი რიდი, არავითარი წესი, თურმე იგი უსაზღვროა. მაშ, დეე, ისევ საზოგადოებამ დააფასოს თქვენი ქცევა, მოგისაჯოთ ჯეროვანი განაჩენი! მანვე გადასწყვიტოს, რა სახელი ჰქვია მწერალს, რომელიც ვეებერთელა წერილიდან ამონაგლეჯ ორიოდე სტრიქონზე ამყარებს ჯაშუშური სიმარჯვით გამოკვანძულ ბრალდებას!.. ხოლო რაც შემეხება მე... მაგრამ თქვენც ხომ კარგათ იცით, თუ რას ფიქრობდა და რას ფიქრობს თქვენზე თქვენი კარგათ მცოდნე, თქვენს მოქმედებათა და მიდრეკილებათა ღირსეულათ დამფასებელი თქვენი არა პატივისმცემელი

ილია ხონელი (იგივე ბახტაძე).

---

## გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა.

### 1825—1896 წ.

### (ნეკროლოგი *).

ეს ერთი კვირაა, რაც დეპეშამ მოგვიტანა სამწუხარო ამბავი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალებისა. ხანგრძლივმა ავადმყოფობამ ისე გატანჯა ყოვლად სამღვდელო, რომ ეს საშინელი ბოლო მოსალოდნელი იყო, მაგრამ მაინც ბედშავმა ამბავმა ყველას გულში მწუხარება აღუძრა. გადადგა ასპარეზიდან შესანიშნავი პირი, გაჰქრა ძალა, რომლის ბადალი ძნელათ და გამოჩნდება, დადუმდენ ბაგენი, ეკლესიის კათედრიდან მრავალ-წლობით მქუხარენი, აღარ არის ერთი უუნიჭიერესი და ყოვლად შესანიშნავი მოძღვართ-მთავარი საქართველოს ეკლესიისა.

არიან პირნი, რომელთაც მათი მოქმედება ბედისაგან თითქო წინდაწინვე აქვთ აღნიშნული. ეს ბედის წერა ეტყობა არამც თუ მათ ნამოქმედარს, მათი სულის ძლიერების ნაყოფს, არამედ იმ უცნაურათ გადასლართულ გარემოებათაც, რომელნიც მათ ცხოვრების განთიადს თანა სდევენ. განსვენებული მღვდელ-მთავარიც ერთი ამ პირთაგანი იყო. შვილი ღარიბი მღვდლის გურიის ერთი ღარიბი სოფლისა, გლეხი მთამომავლობით, ცხოვრების საშუალებას სრულიად მოკლებული, ნამდვილი შვილი ბუნებისა, აღზრდილი ერთ-ერთ იმერეთის ყოვლად მივარდნილ კუთხეში, შემთხვევით გზას იკვლავს და ადის უმაღლეს წერტილამდე ეკლესიის მსახურთა შორის. ბავშობის დროს შემთხვევით გაიცნობს ფელდფებელს, რომელიც სლავიანურ კითხვას ასწავლის, შემთხვევითვე შედის ჯერ თბილისის, მერე პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში და ბოლოს აკადემიაშიაც. აქ კი შემთხვევა უკანა დგება, აღარ მოქმედებს მის ცხოვრებაზე და ბედისაგან მიჩნეული ყმაწვილი კაცი სრულიად დამთავრებული მოღვაწეთ გამოდის ასპარესზე. 1849 წ. გერასიმე ქიქოძე ათავებს კურსს და ჩამოდის თბილისში სემინარიის მასწავლებლათ. ჯერ ინსპექტორისა და რექტორის თანაშემწის თანამდებობას ატარებს, მერე ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლისას და ყველგან ერთგულისა და თავის საქმის მოყვარული პედაგოგის სახელს იჩენს. 1854 წ. ახალგაზდა მასწავლებელი მღვდლათ შედის და ორ წელს შემდეგ კი, როცა საშინელი უბედურება, ცოლისა და შვილების სიკვდილი, დაატყდა თავს, ბერათ შედგება. ამ დღიდან გერასიმე ქიქოძეს მხოლოთ გაბრიელი ეწოდება და სრულიად მოკლე ხანში მოიხვეჭს იმ ადგილს და სახელს, რომელიც სიკვდილამდე შერჩა. იგი გორიდან 1860 წ. გადაყვანილ იქმნა იმერეთის ეპარქიის მმართველათ და 35 წლის განმავლობაში სიკვდილის დღემდე თავს ადგა თავის სამწყსოს დარაჯათ და არ ღალატობს მას არავითარი სიკეთის გულისთვის. მასში გამოისახა სრული თავისებურებით გურული გლეხი, მტკიცე და მედგარი, გულის ტკივილით თავ-დავიწყებამდე მოყვარული თავის მიწისა, მოყვარული თავის ღარიბ და ხანდისხან ფიცხელ მემამულეთა. მან უარ-ჰყო სურვილი დიდების შეძენისა და სიკერპით, სწორეთ მისგან შეთვისებული სიკერპით, აირიდა მრავალ გზით მიწოდებული სხვა და სხვა ღირსება, რომელიც კიდევ უფრო მაღლა ასწევდა საეპარქიო ასპარეზზე. ხანგრძლივი ცხოვრების დასასრულამდე იგი რჩება იმავე მებრძოლათ, რო-

---

*) ვბეჭდავთ სრულ თარგმანს ი. ხონელის ფელეტონისას, რომელიც გაზ. „Кавказъ"-ში იყო მოთავსებული. ამ სტატიამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და, დეე, ყველამ წაიკითხოს და თავისი მსჯავრი დასდოს.

რედ.

გორც იშვა და როგორც ჩავიდა საფლავს. გასაოცარია ეს სისრულე ხასიათისა, ეს სიმტკიცე თავის თავისადმი, ეკლესიის თვით პირველ წმინდა მოძღვართათვის შესაფერი.

ორი საგანი მოქმედებისა, ორი მისწრაფება გულისა და ბუნებისა ასურათებს მას, როგორც საზოგადო მოღვაწეს,—ეს არის შკოლა და კათედრა. ამ საგნებს ურთგულად მან თავდავიწყებამდე, ფანატიკოსობამდე. მათზე დაამყარა თვისი დიდება, რომელსაც ერთ დროს გარს საოცრათ ბრწყინვალე შარავანდედი ეფინა. როგორც კაცმა ღრმათ განათლებულმა, თავის თავზედვე შკოლის ზედ-მოქმედების გამომცდელმა, მცოდნემ თავის ქვეყნისამ და მტერმა მასზე შემოხვეულ სიბნელისამ, თავის მოქმედების პირველ ნაბიჯიდანვე შეატყო, რა იყო მისი დანიშნულება. თუ გერასიმე ქიქოძე კარგი მასწავლებელი იყო და ღირსეულათაც მიაჩნდათ, ასე ბერმა გაბრიელმა მას ამ ასპარეზზედ გადაამეტა. ეპისკოპოსობის დროს იგი ეკლესიასა და შკოლას ერთმანეთში არ არჩევდა, არ იცოდა, სად თავდებოდა ერთიდა იწყებოდა მეორე. ორივე მისთვის თანაბრათ წმინდა საგნები იყო, ორივეს თანაბარი ერთგულებით ემსახურებოდა. დანიშნეს თუ არა იმერეთის ეპარქიის მმართველის მაღალ ადგილზე, მოიარა დაბა-სოფლები და ყველგან შკოლები გაახსნევინა. სადაც კი შესვლა რაიმე ძალას, ამ საქმისათვის გამოსადეგს, გამოიყენა კიდეც. ათობით და ოცობით ფუძნდება საეკლესიო—სამრევლო შკოლები მღვდლებისა და დიაკვნებისაგან განაგებნი. ყოვლად სამღვდელო ყოველ წელიწადს ათვალიერებს მათ, ხანდისხან წელიწადში რამდენჯერმე რევიზიას უკეთებს, შეგირდებს ეგზამენს აჭერინებს, ყურს უგდებს სწავლის წარმატებას. თავის სოფელშიაც თავის ხარჯით აარსებს სამაგალითო შკოლას, შკოლის ფულსათაც, სადაც კი შესაძლოა, აგროვებს და ამტკიცებს ამ საქმეში როგორც მოძღვართ, ისე მათ სამწყსოს. იგივე აარსებს სასულიერო სასწავლებელს ქუთაისში და აღძრავს ლაპარაკს იქვე სასულიერო სემინარიის დაფუძნებაზე. ამ უკანასკნელ თავის სანატრელს სწირავს იგი დიდ შრომას და დაუღალავ ღვაწლს მრავალი წლის განმავლობაში და, ვაი, რომ მხოლოთ სიცოცხლის უკანასკნელ ჟამს ჰხედავს განხორციელებას თავის ოცნებისას. მაინც და მაინც დაბრკოლება ხელს ვერ უშლის და ავათმყოფიც კი, სნეულებით დატანჯული, ცდილობს თავის საყვარელი საქმის დამთავრებას. ეს იყო მისი უკანასკნელი კეთილი საქმე თავის სამწყსოსადმი, რომელსაც, იმისი ღვაწლით, რასაკვირველია, საუკუნოთ გულში ექნება ჩაბეჭდილი.

თუ გაბრიელ ეპისკოპოსი საკვირველი იყო, როგორც პედაგოგი, როგორც ორატორი იგი იყო სწორეთ მსმენელთა გულის წარმტაცი. რომ ვთქვათ, იმის ქადაგებათ ეღირსათ ინგლისურ ენაზე გადათარგმნა და სასულიერო მჭევრ-მეტყველების მცოდნენი და მოყვარულნი გაოცებაში მოჰყავდათო, კიდევ ცოტა იქნება. უნდა გენახათ, როგორ მოქმედებდა ეს ქადაგება მათზე, ვის სასმენლათაც იგი ამბობდა. მას მხოლოთ ერთი აზრი ჰქონდა ხოლმე წინ გამოსახული, ქადაგებდა მხოლოთ მოყვასთა სარგებლობისათვის და არა საკუთარი პატივ-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ. ამ არა ჩვეულებრივმა სიტყვის მეფემ შეიმუშავა თვითვე თავისი საკუთარი ენა, ენა ბრწყინვალე, თავისებურებით შესანიშნავი. მისი სიტყვა იყო ყოველთვის სადა, ძლიერი, საგნის პირდაპირ ნიშანში ამომღები და მსმენელთა აღმფრთოვანებელი. ის თითქო არც კი ქადაგებდა, არამედ საუბრობდა, მაგრამ საუბრობდა ისეთი სიცხოველით, გატაცებით და ზეკაცი ძლიერებით, რომ მსმენელნი ველარ აღწევდენ თავს მის შთაბეჭდილებას. მეორე, არა ნაკლებათ შესანიშნავი თვისება იმის ქადაგებათა ის იყო, რომ საკვირველი სიმკვირცხლით ყოველ საზოგადო მოვლენაზე ხმა უნდა აღემაღლებია. გაბრიელ ეპისკოპოსი თავის დღეში ცუდ-უბრალოთ, ლაპარაკის გულისთვის არას იტყოდა. მას ყოველთვის სახეში ჰქონდა ესა თუ ის დღიური ვარამი, სინჯავდა დაწვრილებით ამა თუ იმ მოვლენას, რისხვით თავს ესხმოდა აღმოჩენილ ბოროტებას... ამიტომ თავის ქადაგებაში ბოროტსაც ჰკიცხავდა და თან სამწყსოს სიმართლეს ასწავლიდა. მისგან კიცხვა მაშინ უფრო ძლიერი იყო, როცა გარემო ცხოვრება უფრო მეტ საბუთს აძლევდა. ბევრს ახლაც უნდა ახსოვდეთ სახელოვანი სიტყვა წარმოთქმული გლეხთა განთავისუფლების წინათ, რომელმაც კინაღამ იმის სიცოცხლე შეიწირა. მხოლოთ გურულმა გამბედაობამ გადაარჩინა აქ ხიფათს. თვით ამ სტრიქონების დამწერს მახსოვს ერთი მისი შესანიშნავი სიტყვათაგანი, მიმართული ეკლესიაში დამსწრე ქუთაისის მაღალ საზოგადოების ქალთადმი. საუცხოვო რამ იყო იგი აღჭურვილი თავის აღტყინებული მრისხანებით და დამცინავი კილოთი გამომყლავნებელი ფუფუნებით ცხოვრების მავნებლობისა. ისე ხელოვნურათ დახატა მან იდეალური სახე უწინდელი ქართველი ქალისა, ოჯახისა და დედობრივი მზრუნველობისათვის თავგადადებულისა, ისე ცხოვლათ წინ წაუყენა მათი აჩრდილი ბალებისა და სამხიარულო საღამოების გმირ ქალთა, რომ მისგან დახატულმა სურათმა მსმენელთ ჟრჟოლა მოჰგვარა. განკიცხულებმა აღარ იცოდენ, რა ექნათ, ეკლესიაში სირცხვილით ერთიერთმანეთს ეფარებოდენ და მისი სიტყვა კი იუპიტერის სიტყვისამებრ, კათედრიდან ჰქუხდა და ელავდა. ყველას ახსოვს აგრეთვე მისი მოკლე, მაგრამ დიდ-მნიშვნელოვანი, მაშინვე ტელეგრაფით გადმოცემული სიტყვა, რომლითაც მიმართა ღვთივ—განსვენებულ მეფეს—მშვიდობის მყოფელს, ქუთაისში მიბძანების ჟამს. განსვენე-

ბულმა იმპერატორმა ჯეროვანათ დააფასა ეს მისი სიტყვაც და თვით მსტოვანი მღვდელ-მთავარიც. მეორე დღესვე, გელათის მონასტრის დათვალიერების დროს, ესტუმრა იგი ღარიბ სენაკს მკაცრი ბერისას და ხელმწიფე ასორმოცდაათი მილიონის სულისა ისე ექცეოდა თავისავე ქვეშევრდომს, როგორც მოსიყვარულე და პატივის-მცემელი შვილი.

ჭეშმარიტად ჩაჭქრა დიდი ვარსკვლავი და იმერეთი ველარ იხილავს მალე ამ გვარსავე ბრწყინვალებას. მაგრამ შეურაცხება იქმება თვით განსვენებულის ხსოვნისათვის, თუ არ ვიტყვი, რომ ნათელს ყოველთვის თან თავისი ჩრდილიც მოსდევს. გაბრიელ ეპისკოპოსი, პირი ყოვლად განათლებული თავის დროის შესაფერად, ჩინებული პედაგოგი, გასაოცარი ორატორი, ვერ იყო ადმინისტრატორი, რაც უნდა ილაპარაკონ იმის თაყვანის-მცემელთ. ამისათვის მას აკლდა ის სულის სიმშვიდე, ბუნების თანაბარობა, ის პირუთვნელობა თავის თავისა და სხვათადმი, რაიც კაცს სიფრთხილეს აჩვევს. ცხოველი, გატაცებული ხასიათი, თავის დროზე ვერ დამშვიდებული ადრე დაკარგული დედის ალერსით, მამის მკაცრი ხასიათი, ბავშობისას სასტიკი აღზრდა და ბოლოს ცოლ-შვილის უბედურება, თავს მაშინ დანატეხი, როცა მისი ძალა და იმედი ის იყო მთლად იფურჩქნებოდა,—ეს ყველაფერი თითქო ხელს უწყობდა ასეთი ბუნების შექმნას. თითქმის შეუძლებელად მიაჩნდათ მასთან საქმის დაჭერა ძალიან მძიმე ხასიათის გამო. მისი მკაცრი (деспотическая натура) ხასიათი წინააღმდეგობას ვერ იტანდა და ხშირად იქცეოდა ისე, რომ სამართლიანად ეწოდა მას სახელი ,,მებრძოლი ბერისა“. ის ყველაზე ეჭვიანობდა, ყველას ერჩოდა, ყველასთან საომარ ფეხზე იდგა.

მაგრამ დეე სამშობლო მიწამ მოგვცეს უხვათ ამ გვარნი შვილნი, რომელთაც მრავალი მიტევებაა, რადგან მრავალკეცი იყო მათი სიყვარულიც. ნაკლულევანება დავიწყებას მიეცემა, ღირსება კი არ გაჰქრება და განსვენებული მღვდელ მთავარი, რომლის ნაშთი ჯერ კიდევ მიწას არ დაუფარავს, ცხოველად დარჩება შთამომავლობის ხსოვნაში ისე, როგორც ასურათებს მას მისი მოქმედება ქვეყნისა და სამწყსოს სასარგებლოთ.

## საქველ-მოქმედო საქმე.

ზუგდიდიდან კნ. ანეტა დადეშქელიანისაგან მოგვივიდა 50 მან. შეკრებილი თავ. რაფიელ ერისთავის სახელზე დაარსებული ფონდის სასარგებლოთ. შემომწირველთა სია:

შემოწირეს 10 მან.: თთ. კონსტანტინე და ჯანსუყ დადეშქელიანებმა. 3 მან: ანეტა დადეშქელიანისამ. 2 მან: ბესარიონ ჩიჩუამ, სამსონ ჩიქოვანმა ნესტორ დავითაიამ და სოლომონ ჯიქიამ. 1 მან. შემოწირეს: ვარ. გოცირიძემ, მღ. ანდ. ვახანიამ, გიორგი ხოშტარიამ. დიმ. ქლენტმა, ნინო ჩიჩუასამ, ჩანთა ჩიჩუამ, ირ. კალანდარიშვილმა, კონსტ. კალანდარიშვილმა, დიომ. კეკელიძემ, მახ. შენგელიამ, ნიკო დგებუაძემ, ვარ. ანთელაძემ, მარკ. კეშელავამ, ანტ. ჯგუშიამ, ივ. კეიდიამ, ჩანთა კოხტავამ, სპ. აბესაძემ, კონსტ. დარასელიამ და იოსებ ბაქრაძემ.

სულ შედგა 50 მან., რომელიც გადაეცა ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მდივანს.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.


ისყიდება

საქველმოქმედოთ

# თამარ მეფის

და შოთა რუსთველის

ს ა ხ ი ა ნ ი

ფოსტის ქაღალდი

თბილისის და ქუთაისის ქართულ წიგნის მაღაზიებში

ფურცელი თითო კაპიკათ.

მოგებული თანხიდან ნახევარი შეეწირება ზეპირ-სიტყვაობის ფონდს და ნახევარიც მოხმარდება იაფ-ფასიან და მუქთათ დასარიგებელ სახალხო წიგნაკების გამოცემას.

მსურველთ შეუძლიათ მოიკითხონ „კვალი“-ს რედაქციაში, ან დაიბარონ ფოსტით დ. ყვირილიდან მიხეილ ბარამაძისაკან.

მოკლე ხანში გამოვა სხვა მოღვაწეების სახიანი ქაღალდიც.


Доз. ценз. Тифлисъ, 17 Февраля 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр., № 41